

საქართველო გაზეთი

№6 (645)
ოთხშაბათი
23 თებერვალი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

ბიძინა ივანიშვილის ფანოვანი



ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედება თითქოს ბარკოვულ კონცეფციურ ხაზს მიხედვს და მთლიანობაში რაღაც დიდი, ბრანდიოვული გეგმის განხორციელებას ემსახურება. დიახ, ეს არ არის მხოლოდ ქველმოქმედება ეს გეგმაა და ამ გეგმას თამაშად შეიძლება გუფოლოთ ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობისა და განვითარების გეგმა.




აგზავი კაცზე და აგზავი „გნაცზე“ დაკარგული ეთნოსები



ღიმიტრი ლორთქიფანიძე:
...და სვალ იყო ომი




შეზღილი, შეზღილი, შეზღილი, მსოფლიო



„კონტაქსტი ნავი ან სასტუმრო კი არა - საპრობილა!“

მიუა, ნაოლონი და ნელსონ მანდელა



„მანდატების ბარიერები“

„საქართველო გაზეთი“ - გაზეთი მოაფრთხნა გკითხვალისთვის

ბიძინა ივანიშვილის ფანოზენი

ყველაფერს ჭირდება თავისი ნამდვილი სახელის დარქმევა.

ზოგჯერ არ ამართლებს მოსაზრება, რომ მთავარია საქმე გაკეთდეს, ხოლო აუცილებელი არ არის ამ საქმის გარშემო ილაპარაკო და ხალხს განუმარტო, რატომ, რა მიზნით გააკეთე ეს საქმე – ისედაც დანახავენ და სწორად შეაფასებენ ყველაფერს.

სამწუხაროდ, ადამიანებს უჭირთ თავიანთ თანამედროვეთა ღვაწლის მნიშვნელობის გაგება და აღქმა, რადგან რაც ძალიან ახლოს არის, იმის დანახვა ძნელია. დრო ჭირდება ამას – ხან ნახევარი საუკუნე, ხან საუკუნე, ხან უფრო მეტი...

სიახლოვის გამო, იმის გამო, რომ ის ჩვენი თანამედროვეა და ჩვენს გვერდით ტრიალებს, ჩვენ დღემდე ვერ მოვახერხეთ ბიძინა ივანიშვილის ფენომენის სწორად დანახვა და შეფასება და ეს არც არის გასაკვირი.

ადამიანის ღვაწლის სიდიადე თუ სიმცირე, სინამდვილეში, იმით კი არ იზომება, რას ამბობენ მასზე მისი თანამედროვენი, არამედ იმით, რას იტყვის მასზე შთამომავლობა.

ჩვენს საზოგადოებას, ზოგადად, ქართველ ხალხს, მთლად ზუსტად და სწორად არ ესმის ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობის მთავარი არსი და ლოგიკა.

ზოგიერთისთვის შეიძლება მისი ქმედებები გაუგებარი და გამაღიზიანებელიც კი იყოს – ვინ რჯის, ვინ აიძულებს, მილიარდებს რომ ყრის ქველმოქმედებაში. ვისთვის დაუფასებიათ, რომ მას დაუფასონ? ვისთვის დაუბრუნებიათ სიკეთისთვის სიკეთე, მადლისთვის მადლიერება, რომ მას დაუბრუნონ? – ასეთია ობიექტულის ფილოსოფია.

ბიძინა ივანიშვილი, ცხადია, დიდი ქველმოქმედაა, რომლის დაპაზვნის მეცენატი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძალიან ცოტაა, თუმცა თუ მის საქმიანობას თვალს გაუადევნებთ, ერთ აღმოჩენამდე მივალთ – ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედება არ არის მხოლოდ ქველმოქმედება, იმ ფორმით და იმ შინაარსით, როგორც ჩვენ ის გვესმის.

ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედება – მთლიანად თითქმის გარკვეულ კონცეფციურ ხაზს მიხლავს და მთლიანობაში რაღაც დიდი, გრანდიოზული გეგმის განხორციელებას ემსახურება.

ღიას, ეს არ არის მხოლოდ ქველმოქმედება მს გეგმას და ამ გეგმას თანადად შეიძლება ვუწოდოთ ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობისა და განვითარების გეგმა.

ბევრი რამ ამ გეგმიდან უკვე განხორციელდა, ნაწილი ამ გეგმის განხორციელების სტადიაშია.

ბევრჯერ დაისვა ეს კითხვა და კიდევ გავიმეოროთ: რა დარჩება საქართველოსგან, თუ მას ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ საქმეებს გამოვაკლებთ?

გამოაკელით და ნახათ რა სავალალო სურათს მივიღებთ...

გაივლის დრო და არავის ემანსოვრება, რას ბლუფუნებენ დღეს ივანიშვილზე სააკაშვილები და ბოკერიები, სანიკიძეები და გვარამიები, უგულავები და სამაღაშვილები, სხვანი და სხვანი, სამაგიეროდ საუკუნეებს გადაეცემა ბიძინა ივანიშვილის მიერ თავისი ქვეყნისთვის გაკეთებული უამრავი კეთილი საქმე.

ეს ისეთი რეალობაა, რომელსაც ვერაფერს ვერ შეცვლის, ვერავინ გააფერმკრთალებს, ვერავინ დამალავს.

რა თქმა უნდა, დღეს ნათქვამი მადლობაც მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი მაინც მადლიერი თაობების მიერ მომავლიდან, საუკუნეების შემდეგ შემოთვლილი მადლობაა...

ახლა კი შემოგთავაზებთ ფრაგმენტებს ინტერვიუდან, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალ „ინტერვიუს“ მისცა.

ბიძინა ივანიშვილი:

„ადრეც არაერთხელ მაქვს გაცხადებული და ახლაც ვადასტურებ, რომ ვაპირებ ჩემი ქონების არანაკლებ 90% საზოგადო საქმეს ანუ ქველმოქმედებას მოვახმარო.“

„სხვათა შორის ეს განაცხადი, როგორც ჩანს, არ მოეწონათ სიცრუეზე და ცილისწამებაზე ორიენტირებულ ოპონენტებს და ყველანაირად ეცადნენ, მიეჩქმალათ იგი. სწორედ ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მე მიჩვენია, თუნდაც საგრძნობი დანაკარგით დავიბრუნო ინვესტიციის ნაწილი, რომელმაც კატალიზატორის როლი უკვე შეასრულა და დროულად წარემართო ეს სახსრები ფართო, საზოგადო მნიშვნელობის ამოცანებზე, ვიდრე ერთ პროექტში ხანგრძლივად ჩავტოვო ეს რესურსი. თუმცა, არც იმის ილუზია მაქვს, რომ ასეთი ძვირი პროექტების შექმნის სურვილი ბევრს გაუჩნდება და, შესაძლოა, მათი მართვა დიდხანს მომიწი-

ოს, მაგრამ პრინციპი არ იცვლება – ნებისმიერი შემოსავალი ამ ობიექტებიდან, ექსპლუატაციის პროცესშიც იმავე პროპორციით დაიხარჯება, როგორც გაყიდვის შემთხვევაში – 90/10-ზე. სხვათა შორის, ოპონენტებს შეუძლიათ ქმედითი მონიტორინგი დააწესონ ამ პირობის შესრულებაზე, მაგრამ ხომ ცხადია, რომ ამას არ იზამენ – ისინი ხომ ფაქტებს და სიმართლეს ვერ უმკლავდებიან, ამიტომ ვარაუდობ, რომ ისევ სიყალბის და ცილისწამების მეთოდს აირჩევენ ოპონენტისთვის“.

„არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოში არასოდეს მიწარმოებია ბიზნესი კლასიკური გაგებით – ბიზნესი მოგებისთვის. ერთადერთი კომერციული ორგანიზაცია ბანკი „ქართუა“ და მასაც სხვა დატვირთვა ჰქონდა შექმნის დღიდან. ეს იყო პირველი საინვესტიციო ბანკი და მის მიმართაც ანალოგიური დამოკიდებულება მქონდა – დავაარსე, რომ ქვეყანას დავხმარებოდი, რადგან მაშინ საქართველოში ძალიან სუსტი საბანკო სისტემა იყო და ამ სისტემას დავხმარებდა სჭირდებოდა.“

ისევე, როგორც ჩემი საქმიანობის სხვა სფეროებში, არც „ქართუ“ ბანკს უწარმოებია აგრესიული ბიზნესი, რაც, ზოგადად, საბანკო სექტორისთვისაა დამახასიათებელი, განსაკუთრებით კი, ბაზარზე შემოსული ახალი მოთამაშეებისთვის. „ქართუს“, ხელი არავისთვის შეუშლია. პირიქით, როცა „აბსოლუტ ბანკი“ გაკოტრდა და არსებობდა რისკი, რომ ეს მთელ საბანკო სისტემაზე ნეგატიურად აისახებოდა, სრულიად უხმაუროდ შევისყიდე ეს ბანკი და მისი უიმედო ვალდებულებები „ქართუმ“ გადმოიბარა. „ქართუს“, სხვა ქართული ბანკებისგან განსხვავებით, არასოდეს ჰქონია ჭარბი მოგება“ – ამბობს ბიძინა ივანიშვილი.


„რაც შეეხება ოპონენტების საყვარელ ფრაზას, რომ ყველა-



ფერი ივანიშვილმა იყიდა, მინდა გავაწბილო ისინი – ყველა დანახავს, რომ 3 წელიწადში არცერთი სასტუმრო არ იქნება ჩემს საკუთრებაში, ამ პროექტიდან სარგებელს კი, ათასობით ადამიანი ნახავს“.

„წყალტუბოს სასტუმროები ღია აუქციონზე, მკაცრი საინვესტიციო პირობებით გაიყიდება. მხოლოდ ორი მთავარი მოთხოვნა და თხოვნა შექნება – ეს არის ვადები, რომ მაქსიმუმ 3 წელიწადში ობიექტი უნდა დასრულდეს და რეაბილიტაცია არსებული კულტურულ-ისტორიული იერსახის შენარჩუნებით განხორციელდეს“.

„რადგან წყალტუბოს რეაბილიტაციის პროექტი გახდა ამ ინტერვიუს საბაბი, კარგი დამთხვევაა და გეტყვი, რომ სწორედ წყალტუბოს მკვიდრი და, ალბათ, ყველაზე ცნობილი წყალტუბოელი, ყველასთვის საყვარელი მწერალი, ოტია იოსელიანი გამოეხმაურა ჩემს მაშინდელ პუბლიკაციას ქართულ პრესაში და ძალიან საინტერესო რეაქცია ჰქონდა“.



„წინასწარ ვამბობ და ვუბნები ბიზნესსაც, რომ ეს იქნება ყველასთვის ძალიან საინტერესო და მომგებიანი საქმე, რადგან ეს სასტუმროები 12 თვის განმავლობაში იქნება დატვირთული. ამ პროცესში, მე ვფიქრობ, რომ შეიძლება ყველა სასტუმრო გაიყიდოს კერძო ინვესტორებზე, და პრაქტიკულად მე აღარცერთი სასტუმროს შექმნა არ მომიწიოს. რაც არ გაიყიდება, მე ვარ მყიდველიც და გამკეთებელიც – 3 წელიწადში! მოკლედ რომ ჩამოვყალიბო ჩემი როლი ამ პროექტში, მე ვარ ერთგვარი გარანტორი და დამზღვევი, რომ წყალტუბოს აღორძინების პროექტი აუცილებლად განხორციელდება. მოდელი ასეთია – რაც არ გაიყიდება, იმას შევიძენ. ვფიქრობ, მშენებლობის პროცესშიც მოხდება დაინტერესება ბიზნესის მხრიდან“.

„მე ზოგადი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში მივეხმარები სახელმწიფოს. რასაც თავად ვერ გავწვდება, ჩემი ხარჯებით დავაფინანსებ. იქ მთელი ინფრასტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს, წყლის რესურსის სწორი გამოყენებით, ერთიანი სპა სისტემის შექმნით. ერთი და ორი სასტუმროს გაკეთებას აზრი არ აქვს, ყველაფერი უნდა მოხდეს კომპლექსურად, ერთიანი გეგმის ფარგლებში. როცა ბიზნესი დანახავს, რომ ინფრასტრუქტურა სრულიად მოწესრიგდა და 3 წელიწადში შეიძლება სერიოზული შემოსავლები მიიღოს, საქართველოში არის ძალიან ბევრი ნიჭიერი ბიზნესმენი და დარწმუნებული ვარ, მათი მხრიდან უზარმაზარი ინტერესი იქნება. ზუსტად ისე, როგორც ეს მოხდა აბასთუმანში.“

ამ დღეებში ბატონ ბიძინა ივანიშვილს დაბადებიდან 66 წელიწადი შეუსრულდა.

გულწრფელად ვულოცავთ ბატონ ბიძინას ამ შესანიშნავ თარიღს და დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს ვუსურვებთ თავისი ქვეყნის საკეთილდროოდ!

„საერთო გაზეთი“

სიმართლე გითხრათ, ასეთი ფორმით სტატიის დაწერას არ ვაპირებდი, თემა თვითონ ჩამივარდა ხელში და ბუნებრივია, მომენტს ვერ გავუშვებდი ხელიდან. ორ მდიდარ ადამიანზე უნდა მოვითხროთ, მათ კაცობას შორის პარალელი უნდა გავავლო და გთხოვთ, დასკვნა თავად გამოიტანოთ.

ადამიანი, რომელმაც თბილისის გულში სამება ააშენა, თეატრები, სკოლები, მუზეუმები გაარემონტა, ეკლესია-მონასტრები აღადგინა, რესტავრაცია ჩაუტარა, 2011 წლამდე საზოგადოებაში არ გამოჩენილა. შეიძლება გარკვეულ წრეებში ჩნდებოდა, მაგრამ მისი გვარი და სახელი ძალიან ცოტამ იცოდა. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენი ხელოვანები, სპორტსმენები, დამსახურებული მოღვაწეები სოლიდურ დახმარებებს იღებდნენ (დღესაც იღებენ), მაგრამ უმრავლესობამ არ იცოდა, ეს ფული საიდან მოდიოდა. მათ იცოდნენ მხოლოდ ის, რომ სადღაც, ცხრა მთას იქით ცხოვრობდა ერთი ადამიანი, რომელსაც ერქვა ბიძინა, გვარად იყო ივანიშვილი და ის ყოველი თვის ბოლოს აგზავნიდა ფულს. შეიძლება ამ ადამიანს გვარ-სახელი საერთოდ არ ჰქონდა, შეიძლება არცაარსებობდა, შეიძლება ვიღაცამ გამოიგონა. ჩემი აზრით, ზოგიერთს საერთოდ არ აინტერესებდა, რა იყო და როგორ იყო, ოღონდაც

ველწლიურად 150 ათასი ბავშვი იღუპება (ეს უცხოელი დამკვირვებლების მიერ მოწოდებული მონაცემებია) და ასე შემდეგ. ზოგიერთი მილიონერი ჩუმადაა, არც არაფერს ამბობს, არც არაფერს აკეთებს, არც არაფერს სთხოვენ, წყნარად აგროვებს ოქროს უზალთუნებს მუთაქებში. თუმცა არიან ისეთი მილიონერები, რომლებიც ასევე არაფერს აკეთებენ, ასევე აგროვებენ ოქროს უზალთუნებს, თუ დასჭირდათ – თაღლითობენ კიდევაც.

ამათ შორის არის ერთი მილიონერი (შეიძლება მილიარდერიც), რომელიც ადრე სამების ამშენებლის გარემოცვაში ცდილობდა მოხვედრას, ხშირად დადიოდა მასთან და სელფებსაც (ფოტო-



ამბავი კასზე და ამბავი „გნასზე“

ებს) იღებდა. იმან, ბევრი რაღაცები რომ გაარემონტა და ბევრი ადამიანი გადაარჩინა, იცოდა რა, თაღლითთან ჰქონდა საქმე, ახლოს არ გაიკარა, გულში არ ჩაიხუტა თაღლითური სქემები არ განავითარებინა, მილიონები არ

მოდიო, შევთანხმდეთ, სამება და უამრავი სკოლა რომ ააშენა, იმ ადამიანს ვუწოდოთ კაცი, არაფერი რომ არ გაუკეთებია ხალხის ყველგან გარდა, იმას ვუწოდოთ „გნაცი“. რატომ „გნაცი“? იმიტომ, რომ სულ ამტკიცებს, ნაცი არ გახლავართ, ეროვნული მოღვაწე ვარო და ამავე დროს „ნაცობს“. თუ ის არ არის, რაც რეალურად არი, მაშინ დავარქვათ „გნაცი“, ამიერიდან ასე მოვიხსენიებ.

ამას, ამ მილიონერს, სულ რომ დნავის, ერთი საინტერესო მეთოდი აქვს შემუშავებული - ბოლო დროს სულ ცდილობს, დაამციროს და მასხრად აიგდოს დღევანდელი ხელისუფლება. დადის მუნიციპალიტეტებში, სოფლებში, პოულობს ჯერაც მისახედ ადგილებს, იღებს სურათებს და თავისსავე დაფინანსებულ ე.წ. ტელევიზიას აქვეყნებინებს როგორც სირცხვილსა და თავის მოჭრას. ამას წინებზე ასეთი ტექსტი დაელო და ფოტოც დაურთო:

„სოფელი ნოღა, უდიდესი მეცნიერის აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმი... ჩვენი სირცხვილია მისი ასე დაფასება“.

კაცი ასე არ იზამდა, კაცი ტელეფონს აიღებდა, დარეკავდა, სპეციალისტებს მოიწვევდა, ხარჯს დააანგარიშებინებდა, იმაზე მეტ ფულს გადაიხდიდა, ვიდრე საჭირო იქნებოდა და ბატონ აკაკის პატივს მიაგებდა. ასე მოიქცა ის სოფელ ხიბულაში, სადაც ზვიად გამსახურდია ბოლოს იმყოფებოდა, იქაურებს უთხრა, ჩათვალეთ, რომ ყველაფერს ზვიადი გიკეთებთო, გზებიც დააგო, სახლიც გაარემონტა, წყალიც გაიყვანა, ეკლესიაც ააშენა... ხმა არ ამოუღია, გახსნაზეც არ მისულა, მე არაფერ შუაში ვარო.

ამბობენ, „გნაცმა“ მერაბ კოსტავას გაართყაო. ეს იყო მაშინ, როცა ის „გეპეის“ კომკავშირის მდივანი იყო. თავისუფლების მოედანზე მიტინგი იმართებოდა, მერაბ კოსტავა გამოდიოდა, ეს დაგემილი გახლდათ, აქციები და ეგეთი რაღაცები სძულდა, არ იყო მშობლიური პარტიისთვის მისაღები. ამან მუშტი მოუქნია,

იმას მოხვდა, მნახველებიც არიან, ვიდრეც არსებობს, ფოტოც არაერთი სინანული, პირიქით, აქეთ იჭალყვება, ქვეყანა უნდა გადავარჩინო, ეროვნული მოღვაწე გახლავართო.

მოკლედ, „გნაცმა“ დაინახა აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმი, სურათი გადაუღო და გზა განაგრძო, აქეთ დაგვაშენათა, ნახეთ, როგორ სასირცხვილოდ ვაფასებთ ჩვენს დიდ მეცნიერსო. ბიჯო, გაიკარჯებზე ხელი, რა ოხრად გინდა ამდენი ფული? არა, ეს ერთ თეთრსაც არ დახარჯავს, ყველაფერი ბიძინა ივანიშვილმა უნდა გააკეთოს.

მეორე მაგალითი: ამას წინებზე ინფორმაცია გავრცელდა, ურბინისა და რუისში მოსახლეობამ პეტიციასზე ხელმოწერები დაიწყო. დავინტერესდი, ვიფიქრე, რა პეტიციაა, რი ატმი კურკა-მეთქი? თვალში ვგრევე მამუკა ხაზარაძის განცხადება მეცა, კანონის თანახმად, ხელისუფლება ვალდებული იქნება, ამ სოფლების მაცხოვრებლების მოთხოვნა მთავრობის სხდომაზე განიხილოსო. რაკი „ლელო“ ითხოვს, ირაკლი ღარიბაშვილმა ნება უნდა იბოძოს და განიხილოს, ქარელი, ყვარელი, გორი და აგარა არ ვიცით ჩვენს!

როგორ მოიქცეოდა ასეთივე შემთხვევაში ის კაცი, დენდროლოგიური პარკი რომ ააშენა, გააშენა, დაამშენა და გაცემული ხალხი უფასოდ დასეირნობს? არადა, როცა ამ პარკს აკეთებდა, ხეგლეჯია შეარქვეს. ხეგლეჯია კი არა, სასწაულმოქმედი, ასეთ რამეს, მით უფრო საკუთარი ჯიბით, არავინ აკეთებს. როგორ მოიქცეოდა და რამდენიმე დღეში ეგ პრობლემა მოგვარდებოდა, თანაც ისე, არავის ეცოდინებოდა, საიდან და როგორ.

ამან არ ქნა, ჩავიდა მილიონერი თუ მილიარდერი „გნაცი“ ორ სოფელში, ნახა, წყალი არ აქვთ, კანალიზაცია არ აქვთ, იმის ნაცვლად, ერთ მუთაქაზე ხელი გაეკრა, იბრიქება, ჩვენ ვაძულებთ ხელისუფლებას, ეს საკითხი განიხილოსო. ამაზე დიდი უბადრუ-

კობა გინახავთ? მე არ მინახავს და ალბათ ვერც ვნახავ!

იმ კაცის (2005-2006 წლებში ყველა სოფელს თითო ტრაქტორი რომ აჩუქა) გაკეთებული საქმეები რომ ჩამოვწყო, მთელი გახეთი არ ეყოფა. მაინც რომ ჩამოვწყო, სრული არ იქნება, რადგან ბევრის შესახებ არაფერი ვიცი. მაგალითად, ნაჩუქარი ტრაქტორების შესახებ ჯუმბერ პატიაშვილისგან გავიგე, ბატონი ჯუმბერი იმჟამად გორის მაჟორიტარი გახლდათ, თუ არ ვცდები, პარლამენტში აგრარულ საკითხებსაც კურირებდა. „გაზგასულმა“ სააკაშვილმა იმ ტრაქტორებით შოუ მოაწყო, ჩამოწკრივა, ერთზე შემოჯდა და კახეთისკენ გააჭვნა - ამიერიდან ჩვენ უნდა ვხნათ, ვთესოთ და ვფარცხოთო. კაცი, რომელმაც სამება ააშენა, საერთოდ არ უხსენებია.

ისე ნუ გამიგებთ, თითქოს „გნაცი“ არ ცდილობდეს ქველმოქმედების ჩადენას. ამ საპარლამენტო არჩევნებისას მეტრო „მარჯანიშვილთან“ თავისი ბენდი რომ განალაგა და იმღერა, განა ეს ცოტაა? ტიპმა მოსახლეობა მარცვა, სააკაშვილის ზეობის ხანაში თაღლითური სქემები ატრიალა, უამრავი ქონება ხელში ჩაიგდო და ამის შემდეგ დაზარალებულებს მეტროსთან უმღერა. ძველებს უთქვამთ, შუბლის მარღვი რომ გაგაწყვდება, მერე ძალიან იოლია ცხოვრებაო. ჰოდა, ცხოვრობს ხაზარაძეც ასე იოლად, ხან ვის ეტოლებს, ხან - ვის!

სხვათა შორის, „გნაცი“, ხშირად იმ კაცს რომ ექნებოდა, გარკვეულ წრეებში ქართული ლიტერატურის ხელშემწყობდაც მოიხსენიება, თავისი კონკურსი („საბა“) აქვს გამოცხადებული და ჯილდოებსაც არიგებს. ოღონდ ჯილდოს მხოლოდ იმას აძლევს, ვინც ბულაძეებსა და მათნარებს მოეწონებათ. ზოგს ორჯერ აქვს მიანიჭებული „საბა“, ზოგს სამჯერ, ზოგს ოთხჯერ, ურიგებენ და ურიგებენ ერთმანეთს. როგორ გითხრათ, ქართულ ლიტერატურას არაფერი ეტყობა, მაგრამ მაინც წერენ, ბეჭდავენ, წერენ, ბეჭდავენ და როგორც უკვე გითხართ, პრემიებსაც ინაწილებენ.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, კიდევ ბევრი პარალელის გაკლება შეიძლებოდა კაცსა და „გნაცს“ შორის, მაგრამ ამჯერად ესეც საკმარისია, რათა კარგად დაინახოთ, ვინ კაცია, ვინ „გნაცი“, ვინ „შმაცი“.

გილა ზედელაშვილი
555 48 48 61



„მაყუითი“ ჩარიცხულიყო.

მოკლედ, ამან, ამ კაცმა, სამება რომ ააშენა და ერთხელ არ წამოსცდენია, მე ავაშენეო, პოლიცისაც და ჯარსაც რომ აჭმევდა, ასმევდა და აცმევდა, ერთ დღესაც იფიქრა, ჩემი ხელიდან გასული ფული არასწორად იხარჯება, ბევრი კისერს ისქელებს, უკადრებელს კადრულობს, ამათი ნდობა აღარ შეიძლება, საქმეს თავადვე მივხედავო. მიხედა კიდევაც, მიხედა სააკაშვილის ბანდიტური დაჯგუფება ჯერ მოუსაველეთში გაუშვა, მერე გააფარჩაკა, აწვალა, ჭკუიდან გადაიყვანა (ჭკუა არც ისე ჰქონდათ), ათრია, აჯანჯლარა, ე.წ. ყოფილი ლიდერები პასუხისმგებამი მისცა და ბოლოს... ოოო, ბოლოს ისეთი რამ მოხდა, არავის რომ ეგონა - მიხედა სააკაშვილი საკანში საკუთარი ფეხით შეიპარა.

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ბევრი მილიონერი ცხოვრობს. თუმცა აქ მილიონერები უფრო ტირიან, ვიდრე რიგითი, საშუალო ფენის წარმომადგენლები. ისინი თითქმის ყოველდღე გამოჰყავთ ტელევიზორში და ალპარაკებენ, რომ ქვეყანა დაინგრა, მშვიერი ხალხი ქუჩებში ყრია, ყო-

...და სვალ იყო რაი

საქართველოში ოპოზიციის კი არა თხუთმეტამდე ბეიპარტია არსებობს

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმა ლორთქიფანიძე:

— ბატონო დიმა, რუსეთსა და უკრაინას შორის ვითარება მწვავე ფაზაში შევიდა. რა მოლოდინები გაქვთ?

— მოვლენები, მართლაც, ძალიან დრამატულად ვითარდება. რამდენიმე დღის წინ, თითქოს, გაჩნდა განცდა, რომ დეესკალაციის პროცესს ჩაეყარა საფუძველი — როცა დასავლეთის პროგნოზი რუსეთის უკრაინაში შეჭრასთან დაკავშირებით არ გამართლდა. დღეის მდგომარეობით, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ეს მოსალოდნელიც იყო. ბუფერული ზონა — ლუგანსკისა და დონეცკის ოლქები, რეალურად, უკრაინული არმიის მიერ, ღია საარტილერიო

შემთხვევაში, 100%-ით ეთნიკური რუსებით დასახლებული უკრაინის აღმოსავლეთი ნაწილი, ნამდვილად, რუსეთის პროტექტორატის ქვეშ აღმოჩნდება. ვფიქრობ, ეს ომი გაცილებით უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებს. თუკი უკრაინის სახელისუფლებო რეჟიმი რუსეთის მიერ ეთნოწმენდაში იქნა დადანიშნული, ამ შემთხვევაში, ომი უფრო სიღრმეში გადაინაცვლებს და გაცილებით დრამატულ ფორმებს შეიძენს. როგორც აღვნიშნე, დასავლეთი ცოცხალი ძალით კონფლიქტში მონაწილეობას არ გეგმავს. იგი, უკრაინას მაქსიმალურად ამარაგებს იარაღით, ინსტრუქტორებით. რუსეთისგან აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს წერილობით წარედგინათ მოთხოვნა: პირველი — უკრაინის ტერიტორიაზე შეტანილი შეიარაღება უკან გაიტანონ, მეორე — ასევე, უკან გაიწ-

სრული ინტეგრაციის გზას დააღვა. ეს პროცესი იმ გარემოებაშიც დააჩქარა, რომ ბელორუსს ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა, პირველ რიგში, ლიტვამ ბალტიის ზღვაზე გასასვლელი ჩაუკეტეს. აღსანიშნავია, რომ თავად ლიტვის ეკონომიკის 30%-ის ფორმირება ბელორუსის ეკონომიკური აქტივობის ხარჯზე ხდებოდა. ლიტვამ ის ტოტი მოჭრა, რომელზეც იჯდა. ბელორუსმა ყოველივეს დივერსიფიცირება შეძლო და ეს აქტივობა რუსეთის მიმართულებით გადაიტანა. დღეს, ბრძანების თანახმად, პეტერბურგთან სპეციალური პორტი აშენდება, რომელიც მხოლოდდამხოლოდ ბელორუსის მოქალაქეებს მოემსახურება. ამკარაა, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმატირება მიმდინარეობს, — ხდება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არსებუ-



ში დაწვეული პროვოკაციების კუთხით იქნა დაშვებული. პროვოკაციებში, პირველ რიგში, სააკაშვილის, ანგლო-საქსური პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე, გამოყენებას ვეულისხმობ. ეს შეცდომები, უკრაინის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება. ამის პირველი სიმპტომი ის არის, რომ უკრაინის ტერიტორიაზე დიდძალი შეიარაღება შეჰყავთ. ფაქტობრივად, ნატოს წევრ ყველა სახელმწიფოს შეიარაღების ზრდაში თავის წვლილი შეაქვს. უკრაინაში 44 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მისი რეგულარული არმია, ამჟამად, 150 ათასი მებრძოლია, რასაც ემატება, დაახლოებით, 200 ათასი რეზერვისტი. ასეთი შეიარაღების ოდენობის გათვალისწინებით, ადვილი წარმოსადგენია რა სასაკლავო შეიძლება გაიმართოს მომხერებს შორის, რისი ინსპირატორიც და მპროვოცირებელიც გახლავთ სწორედ ანგლო-საქსური გეო-პოლიტიკის მაგენერირებელი კოლექტიური დასავლეთი.

ლოდ ლუგანსკის და დონეცკის დაცვა როდი ექნება მიზნად დასახული, არამედ რეჟიმის შეცვლა.

— გამოდის, უკრაინაში ომის დაწყება აშშ-ს უფრო აწყობს, ვიდრე რუსეთს?

— რა თქმა უნდა. პირველ რიგში, ვინ დაზარალებდა ამ ომით, უკრაინა ხომ, ასევე, ზიანი მიაღებდა რუსეთს და მთელი ევროპის კონტინენტს. იმიტომ, რომ უკრაინა ევროპის შემადგენელი ნაწილია და ბუნებრივია, იგი, ომით გამოწვეულ კრიზისებს ვერ ასცდება, რაც ევროპელმა ლიდერებმა ძალიან კარგად იციან. ამას, არაერთხელ გაუსვა ხაზი გერმანიის კანცლერმა, რომელსაც ყველაფერთან ერთად, რუსეთთან ძალიან დიდი და უპრეცედენტო მასშტაბების ინფრასტრუქტურული პროექტი — ჩრდილოეთ ნაკადი-2 გააჩნია. გაზსადენის ამოქმედებას მხოლოდ ონკანის მოშვებაა აკლია. ეს ძალიან კარგად უწყის აშშ-ში, რომელიც სულაც არ არის დაინტერესებული ამ კონტინენტის ეკონომიკური დამოუკიდებლობით, სუვერენიტეტითა და პოლიტიკური ძლიერებით. მას ყოველთვის ჰქონდა ევროპაზე გარკვეული პროტექტორატი, გავლენები. აქედან გამომდინარე, აშშ ორ კურდღელს იჭერს ერთი მხრივ იმით, რომ რუსეთს ასუსტებს. ასევე, ასუსტებს ევროპის ყველაზე დიდ სახელმწიფოს უკრაინას იმდენად, რომ მისი სუვერენიტეტი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ამავე დროს, მნიშვნელოვანი ეკო-



ცეცხლის აღშმა, რასაც ადგილობრივი მცველები, ასევე, ცეცხლით პასუხობენ. რასთან გვაქვს საქმე? — კოლექტიური დასავლეთის, ანგლო-საქსური გეო-პოლიტიკის განმახორციელებელი პოლიტიკური ცენტრის ჩვეულ ხელწერასთან, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა და მიზანი ცხელი წერტილების გაჩაღებაა, ოღონდ, მათი ცოცხალი ძალის მონაწილეობის გარეშე. ეს არის უნიკალური შემთხვევა, როცა ორი მონათესავე ერი — რუსები და უკრაინელები ერთმანეთს უპირისპირდებიან, რისი საბოლოო შედეგიც, რა თქმა უნდა, გახლავთ ის გეო-პოლიტიკური მიზანი, რომელიც აღმოსავლეთით გაფართოების გზაზე, კოლექტიურ დასავლეთს აქვს გადაწყვეტილი. რეალურად, უკრაინის კრიზისის განმუხტვის პერსპექტივები არ ჩანს, პირიქით, სამხედრო ესკალაცია კიდევ უფრო ძლიერდება. ძალიან მალე, რამდენიმე დღეში მოსალოდნელია ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი. ამის ერთ-ერთი მთავარი სიმპტომი გახლავთ ის, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა დონეცკს და ლუგანსკს მასობრივად ტოვებს. ისინი, ევაკუაციის მიზნით, რუსეთის ტერიტორიაზე გადადიან, რაც მოშიშვლებული ბრძოლის ველის ასპარეზია. ამ

ვიონ ინსტრუქტორები, მესამე — შეწყდეს ერთობლივი წვრთნები, რაც სამხედრო დაპირისპირების პირდაპირი მპროვოცირებელია, მეოთხე — უკრაინამ უარი თქვას ნატოში გაწევრიანებაზე და მესუთე — უკრაინამ უბლოკო სტატუსი გამოაცხადოს. აქედან გამომდინარე, მოხდეს დაძაბულობის სრული დეესკალაცია. თუმცა, ცნობილია, რომ აშშ ღია კარის პოლიტიკაზე უარის თქმას არ აპირებს, რაც ვითარებას კიდევ უფრო დრამატულს ხდის. იმიტომ, რომ ფაქტობრივად, ეს გახლავთ წითელი ხაზი, რომელიც რუსეთის წინ გაივლიდა. კრემლი თავის დამოკიდებულებას არც მალავს — ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით, მის კართან, რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების პირდაპირი ხელყოფაა და ამას უპასუხოდ არ დატოვებს, რასაც შეიძლება სამხედრო-ტექნიკური ჩარევა მოჰყვეს. აქვე, მნიშვნელოვანია ის, რომ აღმოსავლეთით რუსეთმა, ჩინეთთან ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების გზით, ფუნქციები განიმტკიცა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ათ მილიონიანი ბელორუსი, ფაქტობრივად, რუსეთის ფედერაციასთან ერთიანი საბაჟო და სასაზღვრო სივრცის, საგადასახადო სისტემის და ეკონომიკური პროცესის შექმნით,

ლი წესრიგის სახეცვლილება. თუ ამას სამხედრო ბატალიებიც თან დაერთობა, ვფიქრობ, სრულიად ევროპული უსაფრთხოება საფრთხის ქვეშ დადგება, რისი ერთ-ერთი ღია და ამკარა მონაწილე რუსეთი გახლავთ. ბოლო ერთი თვის განმავლობაში კვირა არ გადის, რომ რუსეთის პრეზიდენტმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლებს არ უმასხინძლონ აშშ-დან, ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან და ა.შ. დიდი იმედის მიუხედავად — იქნებ დაპირისპირებულმა მხარეებმა ომი თავიდან აიცილონ, ამკარად ვხვდავთ, რომ უკრაინის ტერიტორიაზე დენთის სუნი უფრო მძაფრდება. როგორც ჩანს ზელენსკის ადმინისტრაცია შემდეგი ინსტრუქციის თანახმად მოქმედებს — მას დასავლეთიდან მიღებული აქვს დავალება: ბოლომდე შეუტოს ლუგანსკისა და დონეცკის თვითღიარებულ სახალხო რესპუბლიკებს და კონსტიტუციური წესრიგი აღადგინოს. ყოველივე, გარკვეული ნიშნით ცხინვალში განვითარებულ ამბებს მაგონებს. პირდაპირ ვამბობ: ცხინვალის მოვლენები ერთგვარი ლაბორატორიული ნიმუშია იმისა, თუ რა შეიძლება მოხდეს უკრაინაში ყველა იმ შეცდომის გათვალისწინებით, რომელიც ცხინვალ-



ნომიკური ზიანი ადგება მთელს ევროკავშირს და ევროპის კონტინენტს. არ დაგავიწყდეთ, რომ ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა აშშ-ს პრეზიდენტის ბაიდენის ღია განცხადება: თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრება, ჩრდილოეთ ნაკადი-2-ის ინფრასტრუქტურას გავანადგურებთო. ეს სიტყვა, სამხედრო ჩარევის გზით ფიზიკური განადგურების აქტს ნიშნავს, რაც ამავდროულად, მიმართულია არამხოლოდ რუსეთის, არამედ გერმანიისკენაც. გაზის კონტროლის მექანიზმი მთლიანად გერმანიას ეკისრება. ამიტომ, ჩრდილოეთ ნაკადი-2-ის ინფრასტრუქტურის განადგურებით გერმანიას, მთლიანად ევროპის კონტინენტს გამოუსწორებელი ზიანი მიაღებება. ალტერნატიული გზა, საკუთარი ინტერესების სრულად უზრუნველსაყოფად, ევროპას არ გააჩნია. თუმცა, ეს არც აშშ-ს ადარდებს და არც ბრიტანეთს. ვაშინგტონის და ლონდონის რიტორიკა, გერმანიისა და საფრანგეთის პრეზიდენტების რიტორიკისგან თვისობრივად განსხვავდება. ამ უკანასკნელთა რუსეთთან მიმართებით უფრო ფრთხილი დამოკიდებულება აქვთ. ზოლო ბრიტანეთის ოფიციალური მიერ გაკეთებული განცხადებები, პირდაპირ, ომის გაჩაღების პროვოცირებაა.

დაისვას. მაგრამ ეს არის იძულებითი ნაბიჯი, რაც დასავლეთის მიერ განხორციელებული პროვოკაციების შედეგია. ეს ახლა არ დაწყებულია, არამედ სათავეს 1997 წლიდან იღებს. რუსეთმა მიიღო ზეპირი გარანტიები, იგივე, მიუნხენის კონფერენციაზე, რომ ნატო აღმოსავლეთით გაფართოების კამპანიას შეწყვეტდა და ღია კარის პოლიტიკას შეაჩერებდა. მიუხედავად ზეპირი გარანტიებისა, ნატომ მინც გააკეთა განაცხადი ღია კარის პოლიტიკაზე და უკრაინის ნატოში ინტეგრირების საკითხი ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ საკითხად აქცია. რუსეთისთვის როგორც ბირთვული ტრიადის მქონე სახელმწიფოსთვის, ეს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული გამოწვევაა, რასაც მზად არის არსებული პოტენციალი უპასუხოს.

— ბატონო დიმა, ამ ფონზე ჩვენი ოპოზიცია ხან უკრაინაში დარბის, ხან კარლ შარცელთან და საკუთარ ქვეყანას აბეზღებს, ლანძღავს. მაშინ, როცა რუსეთი 40 კილომეტრში დგას, მოგვიწოდებენ მას დაფუძინებისპირდასა და პროვოკაციული განცხადებები ვაკეთოთ. ეს ღალატი არ არის?
— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ოპოზიცია კი არა, ქვეყანაში, საერთოდ, პოლიტი-



რამეზე მეტყველებს. თითქოს, სხვანაირი სტარტი იყო — მუხტი უნდა აწეულიყო. სინამდვილეში, აღმოჩნდა, რომ ყოველივე იმ დაფინანსებიდან გამომდინარეობდა, რასაც ნაცები უზვად იღებდნენ. ეს დაფინანსებაც შეწყდა. საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ არავითარი ოპოზიცია არ გაგვჩნია. მათ ისღა დარჩენიათ მაამებლური პოლიტიკა აწარმოონ უკრაინაში სირბილით და დასავლეთისადმი კუდის ქიცინით და მას უმტიციონ — უკრაინის სოლიდარულნი ვართ, ჩვენი ხელისუფლებისგან განსხვავებით, ჩვენ პარლამენტს თითხ ვუქნევთ არადადეგატური დეკლარაციის შემუშავების გამო და ა.შ. მინდა ვთქვა, რომ დეკლარაციის შემდგენლებს, ვეთანხმები. აქ, დასავლეთის მაამებლად რუსეთის შეკვეთით თუ დაკვეთით სხენება, ჩვენთვის მხოლოდდამხოლოდ საზიანო პოლიტიკური აქტი იქნებოდა. პოლიტიკური პროცესი, რეალურად, ჩამკვდარია. მისთვის ახალი იმპულსის, სულის შთაბერვაა საჭირო. ამისთვის, აუცილებელია, საქართველო განიხილებოდეს როგორც გეო-პოლიტიკურ ცენტრებს შორის შემადგენელი მყარი ხიდი, რომელიც ვალდებულია, რეგიონალურ დონეზე, თავის ისტორიული ფუნქცია და მისი დაბრუნოს. ერთადერთი რითაც ეს პროცესი უნდა დავიწყოთ, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის პოლიტიკური ფასის განსაზღვრაა.

— სააკაშვილის სასამართლო პროცესებმა კომიკური ხასიათი მიიღო. არაერთი ჩადენილი დანაშაულის მიუხედავად, მას ქართული მართლმსაჯულება ბოტოქსების, ტაილანდში ჩატარებული მასაჟებისა და პიჯაკების გამო ასამართლებს. სად არის თუნდაც წაგებული ომის გამო ჩადენილ დანაშაულზე არსებული მტკიცებულებები?
— ძალიან გონივრული შეკითხვაა, დიდი მადლობა. 2012 წელს ახალი ხელისუფლების გამოწვევა სამართლიანი სამართ-

ლებრივი გარემოს აღდგენა და არსებული რეჟიმის პოლიტიკური შეფასება იყო, რომელმაც საკუთარ მოსახლეობაზე ფიზიკური ანგარისსწორება განახორციელა. 4-მილიონიან ქვეყანაში სააკაშვილმა ისეთი წისქვილის ქვა დაატრიალა, რომ პატიმრების რაოდენობით მსოფლიოში მეორე, ხოლო ევროპაში პირველ ადგილზე ვიყავით; ყოველი მეათე ადამიანი ნასამართლევი გახლდათ, უამრავ მათგანს ქონება გააყიდეს, რათა საკუთარი თავისუფლება ეყიდა, ბევრი ქვეყნიდან განდევნეს. ეს ყველაფერი სააკაშვილის რეჟიმმა ნათელი მომავლის, სინგაპურიზაციის, დემოკრატიის სახელით გააკეთა. გარდა ამისა, მისი მმართველობის ფაშ ელიტურმა კორუფციამ იფეთქა, რაც ასევე, გამოვლინდა ომისა და ომის შემდგომი ფინანსური გადასაწილების კუთხით. „ქართულმა ოცნებამ“, თავის დროზე, წაგებული ომის გამოძიების ვალდებულება აიღო. გამოვლინდა ღალატის სხვა ფაქტებიც, რომლის სიმპტომები მანამდეც იკვეთებოდა, მაგრამ სამხილები არ არსებობდა. მათ შორის, პირადად მე, პროკურატურას დავით გარეჯის საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მტკიცებულებები მივაწოდე — სააკაშვილმა 3600 ჰექტარი მიწის ფართობი სტრატეგიული სიმაღლეების დე-ფაქტო აზერბაიჯანს გადასცა. მეტიც, ამ ქმედებამდე, სისხლის სამართლის კოდექსიდან ღალატის მუხლი ამოიღო. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე კი სამხედრო პროკურატურა გააუქმა. როცა ქვეყნის მთავარსარდალი დანაშაულს სჩადის, ამის გამოძიება წესით და კანონით სწორედ სამხედრო პროკურატურამ უნდა მოახდინოს. ვიმეორებ, ეს უწყება სააკაშვილმა, საერთოდ, გააუქმა. რაზე მეტყველებს ყოველივე? — სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა თადარიგი დაიჭირა, რათა მათ მიერ ჩადენილი ღალატი და უპრეცედენტო ხასიათის დანაშაული იმ შესაბამისი

მუხლებით არ გამოძიებულიყო, რითაც მათი ქმედებები კიდევ კვალიფიცირდება. ნორმალურ ქვეყანაში ღალატის მუხლი როგორ უნდა ამოიღო?! გარდა ამისა, როცა ძალიან გაუჭირდათ და დაინახეს, რომ გირგვლიანის მკვლელობის გამო ხალხი აზვირთდა, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შეიტანეს, რათა იმ ადამიანებისთვის რომლებზეც ჯოხი უნდა გადაეტყვნათ, რაც შეიძლება მსუბუქი დანაშაული მოერგოთ. თორემ, ვანო მერაბიშვილის, თაკო სალაყაიას და უფრო ზემდგომთა კავშირები, რაც დანაშაულის პროცესში რეალურად გამოვლინდა, უგულვებელყოფილი იქნა. სააკაშვილის პრინციპი, პარაგვაის დიქტატორის პოზიციის მსგავსია — მეგობრებს ყველაფერი და დანარჩენებს კანონიო. მოკლედ რომ ვთქვა: მისთვის ბრალის წაყენება თავისუფლად შეიძლებოდა ძალიან ბევრ დანაშაულზე საქმეზე. განა, მხოლოდ ახლა რაც ჩამოეთვალე, ეს საკმარისი არ არის?! მეტიც, პირველი, მისი დანაშაულებრივი ქმედებების გარდაუვლად მამხილებელი 2008 წლის აგვისტოს მოვლენები იყო. იცით, რამდენი მიმართულებით შეიძლება ბოდა, უშუალოდ, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალის წინააღმდეგ გამოძიების დაწყება, რომელიც ვალდებული იყო ბევრი საკითხი გაეკონტროლებინა და თვითი მიედევნებინა?! ბრალის წასაყენებლად მართო ის დანაშაულობების აქტები კმარა, რასაც ადგილი ჰქონდა რეზერვისტების გაწვევასთან დაკავშირებით. ადარაფერს ვამბობ მოსახლეობის ჩატოვებასთან დაკავშირებით, არადა მათი ევაკუაცია უმთავრესი გახლდათ. ამ ყველაფერში პრეზიდენტი მთავარი პასუხისმგებელი პირია. დაიხ, მოსახლეობა ბედის ანაბარა დატოვეს ერთადერთი განზრახვით — ჰუმანიტარული კრიზისით გამოწვეული ომი, რასაც შემდეგ დასავლეთისთვის, ქართულ-რუსული ურთიერთობების სამუდამოდ დასამარების კუთხით, სასარგებლო შედეგები უნდა მოჰყოლოდა, რაც შეიძლება ფართომასშტაბის ყოფილიყო. ეს იყო ამ ომში მათი მიზანი, მოტივაცია. ნურც, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენა დაგავიწყდება, რასაც ახალგორიც შეუერთეს. ეს სასჯელს არ იმსახურებს?! თუ არც დალის ხეობის ზემო-აფხაზეთად გამოცხადება და მისი საბოლოოდ, ჩაბარება დანაშაული?!
თამარ შველიძე
555 23 28 24



ეს შემდეგზე მეტყველებს: რუსებს დაპირისპირება სწორედ ანგლოსაქსებთან აქვთ. ისინი თვლიან, რომ რუსეთის დასასუსტებლად, დასამუხრებლად, ახლა, ყველაზე ხელსაყრელი დროა.
— თქვენ, ახსენეთ, რომ ომმა შეიძლება ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღოს. იქნება თუ არა შემდეგი საქართველო?
— უკრაინაში განვითარებულ მწვავე დაპირისპირებასა და რუსეთის საქართველოში შემოჭრას შორის პირდაპირ კავშირს ნამდვილად ვერ ვხედავ. 2008 წელს სათანადო პროვოცირების შედეგად, რუსეთმა თავის მიზანს უკვე მიაღწია — ჯარები ცხინვალსა და სოხუმში ჩააყენა. რაში სჭირდება, დღეს, აქ შემოვიარდნა და შუასაუკუნეობრივი სამხედრო ექსპანსიის განხორციელება?! ეს გახლავთ უტრირება, რუსეთის აგრესორის სახის გამოჩენის მიზნით, რათა შედეგად დასავლური პროპაგანდის მკაფიო წარმოჩენა მოხდეს. ეს მარტივად გამოხატული ფორმა იმისა, რასაც ჩვენი ლიბერალური მედია ეწევა. სინამდვილეში, რუსეთის არავითარი ინტერესი არ აქვს, რომ საკუთარი ბიუჯეტის სახსრები ხარჯოს. მით უმეტეს, არ აქვს ინტერესი, უკრაინელი ხალხი გადაიმტეროს და მათა მკვლელობის დამდა

ყრუ კედელს მიღმა დაკარგული ეთნოსები



12 თებერვალს ტელეკომპანია „ალტ-ინფო“ გადაცემაში „ფაქტი და კონტექსტი“ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პერსპექტივაზე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრმა ლეონიდა მამუკაძემ ისაუბრა. ვთავაზობთ, ფრაგმენტებს სატელევიზიო ინტერვიუდან:

– პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ძირეული მიზეზები გავიზაროთ. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ჩვენ, პრობლემა მხოლოდ რუსებთან გვექონდა და თითქოს, აფხაზები, ჩვენთან დაპირისპირებაში, მარიონეტებად გამოიყენეს. თუმცა, ჩემი აზრით: ქართველი მოსახლეობისადმი აფხაზების ნეგატიური განწყობა და მათი ეთნო-ინტერესები რომ არა, შესაძლებელია, ეს კონფლიქტი ასე მართლაც არც მომ-



ხდარიყო. შესაბამისად, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართველსა და აფხაზს პრობლემა ერთმანეთთან აქვს. აფხაზეთის რეგიონში უმრავლესობას ქართული მოსახლეობა შეადგენდა. დიას, იქ, სწორედ ქართველები დომინირებდნენ და შესაბამისად, მცირერიცხოვანი აფხაზური ეთნოსი თავს დანაგრულად გრძობდა. აქედან გამომდინარე, გარკვეულმა ქვედა დინებებმა ნელ-ნელა დუდილის ტემპერატურას მიაღწია, ხოლო მესამე მხარემ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ეს შიდა უთანხმოებები სათავისოდ გამოიყენა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი: რადგან აფხაზეთში საქართველოს მოსახლეობა უმრავლესობაში იყო, ჩვენდა სამწუხაროდ, იგი, აფხაზურ ენას, საერთოდ, არ ფლობდა. შესაბამისად, ერთგვარი არასრულფასოვნების კომპლექსიდან გამომდინარე, აფხაზები ქართულ ენას არ სწავლობდნენ. ამ ორი ეთნოსისთვის დამაბალანსებელი რუსული ენა გახლდათ, რაც აფხაზეთში დომინირებდა. დიას, ჩვენ შორის ერთადერთი საკომუნიკაციო ენა მხოლოდ რუსული გახლდათ, რო-

მელმაც დამაკავშირებელი ხიდის ნაცვლად, კედლის ფუნქცია შეასრულა. ასე, რომ ჩვენ შორის ყრუ კედელი აღიმართა და ერთმანეთს ხმას მის მიღმა ვაწვდენდით.

– რატომ თვლიდა აფხაზეთი თავს საქართველოს კოლონიად? ვინ ეუბნებოდა ქართველებს: თქვენ, მალე აქ, აღარ იქნებითო!!!

– გაეხსენოთ, რას ეუბნებოდა ახალგაზრდებს დალის ხეობის ყოფილი ხელმძღვანელი ბატონი ნადარაია: საქართველო თავს რომც არ დაგვსზობდა, ჩვენ, მისი კოლონია ვიყავით და ომს მაინც დავეწყებდითო. ამ მოსაზრებას ბევრი იზიარებდა. მაგალითად, ისტორიკოსი გურამ გუმბა და ა.შ. სურავი შამბას თქმით კი: ომისთვის 80-იანი წლებიდან ემზადებოდნენ ტყვეებში, სადაც სასროლეთი ანუ, ტირი ჰქონდათ გაკეთებული. მოგვიანებით ბევრი დევნილისგან მოვისმინეთ როგორ ეუბნებოდნენ აფხაზები, რომ თქვენ, მალე აქ, აღარ იქნებითო. 1989 წელს ლიხნის დეკლარაცია მიიღეს. ეს ატმოსფერო რომ რაღაც უნდა მომხდარიყო, უკვე, პაერში ტრიალებდა. შესაბამისად, კრემლში, ალბათ, იგრძნობდა, რომ საბჭოთა კავშირი დაშლის პირას იყო, თუმცა, პოსტსაბჭოთა ლეგიონებისა და რესპუბლიკების შენარჩუნების გზა ართველებისა და აფხაზების შიდა, ეთნო-დაპირისპირებაზე გადიოდა. ეს გახლდათ გეგმა. შესაბამისად,

ჩვენ, უნდა გვესმოდეს, რომ კონფლიქტის გადაჭრის ორი გზა არსებობს — ერთი, ომი და მეორე, მშვიდობა. ომი არის სისხლი, ნგრევა, ხოლო მშვიდობა — სწავლა განათლება და გონივრული ნიშნით უფრო მეტი ძალისხმევა.

ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, აფხაზებმა ამ ერთიან სივრცეში — საქართველოსთან ერთად, საკუთარი თავი ვერ დაინახეს. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მათ ჰქონდათ თავიანთი პროექტი — აფხაზური სახელმწიფოს შექმნა, სადაც დომინანტი აფხაზური ენა იქნებოდა, რაც ერთიან საქართველოში ვერ დაინახეს. შესაბამისად, გადაწყვიტეს: რუსეთის დახმარებით დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ და აფხაზური პროექტი განეხორციელებინათ. თუმცა, რუსეთის ფედერაციაზე იმდენად არიან დამოკიდებულნი და რუსულ სივრცეში ათქვეფილი, რომ ეს პროექტი ვერ განახორციელეს. დღეს, მათ ორი ოფიციალური ენა აქვთ — აფხაზური და რუსული. აფხაზურს სიმბოლური დატვირთვა აქვს, ხოლო რუსული ენა, კვლავ, დომინანტი რჩება. აფხაზეთში ყველაფერი რუსულ ენაზე ხდება. შესაბამისად, რუსული სივრცე, მათ, შთანთქმეს და რაც მეტი დრო გადის, მათი ასიმილაცია ხდება. აფხაზი პოეტი ლექსს რუსულად წერს. აფხაზურენოვან თეატრებში ათი მაყურებელი დადის, ხოლო რუსულენოვანში დარბაზები სავსეა. შესაბამისად, მომავალი, ომის შემდგომი თაობა, ამ მიმართულებით, უფრო და უფრო უკან მიდის. შესაბამისად, ასიმილაცია ხდება. გამოსავალი შემდეგია: ქართველებმა და აფხაზებმა ერთმანეთთან საუბარი ორივე ენაზე უნდა შეეძლოთ. ანუ, ჩვენ — აფხაზურ, ხოლო მათ ქართულ ენაზე უნდა ისაუბრონ.

ჩვენ, უნდა გვესმოდეს, რომ კონფლიქტის გადაჭრის ორი გზა არსებობს — ერთი, ომი და მეორე, მშვიდობა. ომი არის სისხლი, ნგრევა, ხოლო მშვიდობა — სწავლა განათლება და გონივრული ნიშნით უფრო მეტი ძალისხმევა.

მოკლავალიანი მშვიდობა თუ...

– მოდით, ახლო წარსული გავიხსენოთ: წინა ხელისუფლებამ რომ მოვიდა, ჯარის რეფორმა დაიწყო. დიას, საქართველოს უნდა ჰყავდეს ძლიერი ჯარი. გემანსოვრებთან, რეკლამები — წამო, რეზერვში, მაგარია! რეზერვისტების ენთუზიზმიც დიდი იყო, ჯარისკაც ნელ-ნელა შენდებოდა, მაგრამ საქართველოშიც, როგორც ჩანს, საზოგადოების განწყობა მილიტარისტული იყო — კონფლიქტი სამხედრო გზით გადაეჭრათ. სააკაშვილი ამბობდა: ძველი დრო არ გვეგონოთ, კბილებში მწარედ მოგხვდებათო. ეს, ალბათ, მიმართული იყო რო-



გორც რუსეთის, ასევე, ჩვენი კონფლიქტური რეგიონებისადმი. ამ გზით, რა მივიღეთ, რა მოვიგეთ, ეს კარგად გამოჩნდა — სინამდვილეში, უფრო მეტი დავკარგეთ და უფრო მეტად დაგზარაღდით, უამრავი ადამიანი დაგვეხოცა. ნათქვამია: სულელი სხვის შეცდომებზე სწავლობს, ბრძენი კი არასდროს უშვებს შეცდომასო, მაგრამ ფაქტია — შეცდომა დაშვებულია. ჩვენ, ალტერნატივაზე, მშვიდობიან გზაზე უნდა ვიფიქროთ. ადამიანს რომელიც სახლში დაბრუნებას აპირებს, იქ, თუ იგივე სიტუაცია დახვდა, რაც აქამდე იყო — აფხაზური მოსახლეობა კვლავ ლოკალიზებული



ქანა, იგი, ერთგვარ რეზერვაციაში მოექცევა. ეს მოკლევადიანი მშვიდობა იქნება. შედეგად, შვილებს და შვილობილებს, იგივე, პრობლემას დაეუბრებოთ, რაც ოდესღაც იფეთქების და კვლავ, ვიდაც, მესამე მხარის ჩარევით, იმავე უბედურებას მივიღებთ. ანუ, მოკლევადიანი სამხედრო გზით ამ პრობლემის, უცებ, გადაჭრა დაუშვებელია.

აფხაზური პროექტი და აფხაზების ბაპარტიველბაში დადანაგაულებული ქართვილები

– მოდით, აფხაზებს ასეთი რამ შეუთავაზოთ: კი ბატონო, მათ გამარჯვება მოიპოვეს და ასევე, მოიპოვეს უფლება, რომ ქართულ სახელმწიფოში ისინი იყვნენ აფხაზები და მათი ვინაობა, როგორც ერთიან ქართულ სივრცეში დატყული იყოს. ეს როგორ უნდა განეხორციელოს? მხოლოდ ერთი გზით — აფხაზებს უნდა დავანახოთ, რომ მათი ენა და იდენტობა ჩვენს სივრცეში არ დაიკარგება. ნდობის აღდგენა მხოლოდ ასე შეიძლება: აფხაზებს უნდა დავანახოთ, რომ არავითარ შემთხვევაში მათი გაქართველება არ გვინდა, არამედ მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა. შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ყველა ეთნოსს და ყველა კუთხეს თანაბარი უფლებები და პირობები აქვს. ყველა კუთხის წარმომადგენელს ნებისმიერ სხვა კუთხეში ჩასვლისას თავი სამშობლოში უნდა მიაჩნდეს. მაგალითად, რაჭველმა რაჭაშიც და გურიაშიც თანაბრად უნდა იგრძნოს თავი საკუთარი სახლში. აი, ასეთი ფსიქოლოგია უნდა ჩამოყალიბდეს.

– როგორ აღვადგინოთ ქართულ ენაზე დაფუძნებული აფხაზური ენა?

დღეს, აფხაზური ენა რუსულ ანბანზე — კირილიცაზე არის დაფუძნებული, რასაც ალბათ, არცერთი ქართველი არ და ვერ ისწავლის, ძალიან გაუჭირდებათ. ჩემი აზრით, საქართველოს კულტურის სამინისტრომ სპეციალისტებთან — აფხაზოლოგებთან ერთად ქართულ ანბანზე დაფუძნებული აფხაზური ენა უნდა აღადგინოს, რათა ქართველს მისი შესწავლა გაუადვილდეს. დღევანდელი აფხაზეთის მაცხოვრებელთა, დაახლოებით, 30% შესაძლოა აფხაზურად საუბრობდეს, დანარჩენი — ამას ვერ ახერხებს. განსაკუთრებით, უჭირთ ახალგაზრდებს, რაც განპი-

რობებულია იმით, რომ კირილიცა აფხაზური ენის მოთხოვნებს არ პასუხობს, მას კუმშავს. შესაბამისად, როცა ნააზრევის ფურცელზე გადატანა არ შეეძლო, ენა ღარიბდება და იგი, ფაქტობრივად, გამოუყენებელია. მაგრამ ქართული ანბანი სრულყოფილია. იგი, არამც-თუ აფხაზური, არამედ ჩრდილო-კავკასიური ეთნოსებისთვისაც ერთ-ერთი საუკეთესოა. თუკი ქართული სახელმწიფოს ნებელობით მოხერხდება, რომ კულტურისა და განათლების სამინისტროებმა აფხაზური ენისთვის ქართული გრაფიკის აღდგენა ერთობლივად შეძლონ, ეს ქართულ მოსახლეობაში, განსაკუთრებით, დევნილებში ენის შესწავლას ბევრად გაადვილებს. ეს იქნება გავრცელებული ხელი, მაქსიმუმ, რაც შეიძლება ქართულმა სახელმწიფომ და საზოგადოებამ მშვიდობის დამყარებისთვის გააკეთოს.

აფხაზების თქმით: მათი მთავარი პრობლემა — ენა, იდენტობა და ასევე, დემოგრაფიული მდგომარეობაა. ისინი, მცდარ გზას ადგანან: თურქეთიდან მუხაჯირების მოწვევას ცდილობენ. ჩემი ინფორმაციით, 7-დან 11 ათასამდე ადამიანი ჩავიდა-კიდევ აფხაზეთში, მაგრამ ბევრი უკან გაბრუნდა. იმ ადამიანებმა ვერც ენის გამყარება მოახერხეს და ვერც დემოგრაფიის. ჩვენ, პირველ რიგში, რაც შეგვიძლია ესაა შემდეგი: მათ ძმური ხელი გავუწოდოთ. ქართველებს ღვთისმშობელი სამშობლო გვაქვს. ჩვენ, უფლება არ გვაქვს რომელიმე კუთხეზე უარი ვთქვათ. მისი შენარჩუნებისთვის მაქსიმუმ უნდა გავაკეთოთ.

მოამზადა
თამარ შვილიძემ
555 23 28 24

ვიზა, ნაპოლეონი და ნელსონ მანდელა



ლობს“. არც ამ დუნდუკმა იცის ქართული, ესეც ჩიქორთულად მეტყველებს, პრეზიდენტის იზოლაციაში მოქცევასო, უნდა იყოს - იზოლაციაში პრეზიდენტის მოქცევას. სამივე ცრუობს - პრეზიდენტიც, „ადუკანტიც“ და ჟურნალისტიც, რაც სააკაშვილს დაუწესეს, ეს პენიტენციური დაწესებულების კანონით განუსაზღვრეს, იქ არ წერია, ზოგს დღეში ცხრაჯერ უნდა მიაკითხონ, ზოგს კიდევ თვეში ერთხელ. მეტიც, საქართველოს კონსტიტუციაში გასაგებად წერია, კანონი ყველასთვის ერთიანად ვარს, თანაც, თანაც, თანაც, თანაც რომ მამული გაჰყავს!

ერთმანეთს-მეთქი (ჩვენსაზე ვხუმრობ, ემანდ, მართლა არ დაიჯეროთ), ეს იცის სააკაშვილმა და მოწადინებით ცდილობს, მათ დაემსგავსოს. მას კი აქვს წარმოსახვითი უნარი, მაგრამ ყველა წარმოსახვა იმდენად უნიჭოა, დიმილის მეტს არაფერს იწვევს, არ გაანჩია არავითარი ლოგიკა და ემოცია. ბოლო დროს ამოიჩემა, ვლადიმერ პუტინის პირადი პატიმარი გახლავართო, ბიძინა ივანიშვილი კრემლის დავალებას ასრულებს, ამიტომაც მაწამებსო. ამ დროს ამკარად ჩანს, რომ მისი არსებობა დედამიწის ზურგზე აღარავის აინტერესებს, არც პუტინს, არც ივანიშვილს, არც ქართველებს, არც უკრაინელებს, 2013-ში რომ ჩამოიწერა, მას მერე ვეღარ დაიხეთქა.

ეთი მესიჯები გაუშვი, სხვა გზა აღარ ჰქონდაო. თქვენი იტყვი, ვის სჯერა მაგისი სისულელეებისა? ეეეე, არც მთლად ასეა საქმე, სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში არის ბნელი ადამიანების მასა, ვისაც მართლა სჯერა - ასეთები მსჯელობენ, რომ არა მიშა, პუტინი უკრაინაში ქვას ქვანზე დაადუღებდა, შემდეგ კი საქართველოშიც გადმოვიდოდაო. მაგას მხოლოდ სააკაშვილისა ემინიო.


ერთ მაგალითსაც გეტყვი და ამით დაეკარგება: 17 თებერვალს ინგა გრიგოლიას „რეაქციაზე“ გადამერთვევინა, სულ რაღაც 5-6 წუთით შევაჩერე ყურადღება. ბევრი ისხდნენ სტუდიაში. ვინმე თიკო დოლაბერიძე დაპარაკობს, მე არც მიმისტი

აპარტიდის ეპოქის გასრულების შემდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლებამ ეროვნული ერთობის აღსადგენად შექმნა კომისია, რომელიც „სიმართლისა და შერიგების“ კომისიის სახელით გახდა ცნობილი. აპარტიდი სამხრეთ აფრიკაში ოფიციალურად 1946 წელს დაკანონდა და 1990 წლამდე წარმოადგენდა რეჟიმს, რომელიც ამართლებდა თეთრკანიანი მოსახლეობის ბატონობას შავკანიან და ფერადკანიან მოსახლეობაზე. მის წინააღმდეგ იბრძოდა ნელსონ მანდელა, რომელმაც 27 წელიწადი ციხეში გაატარა და შემდეგ გახდა პრეზიდენტი.

რას გვთავაზობს მიხეილ მანდელა, რა უნდა, რას ბოდილობს, სად თეთრკანიანთა და შავკანიანთა პრობლემები, სად მისი ბანდიტური დაჯგუფების „მოღვაწეობა“? რა შუაშია აქ სამხრეთ აფრიკა, შავკანიანი მოსახლეობა და ნელსონ მანდელა?

ახლა უყურეთ, ვის ედრება, სიტუაციას როგორ წარმოგვიდგენს: 1990 წელს ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მანდელამ შეცვალა თავისი პოლიტიკური კურსი და გახდა ზომიერი, რამაც ხელი შეუწყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში რასობრივი შუღლის შემსუბუქებას და დემოკრატიის დამყარებას. ახლა ესეც ფიქრობს, თუკი მე შეეცვლი პოლიტიკურ კურსს და გავხდები ზომიერი, ამაში მხარს დამიჭერს მთელი მსოფლიო, მისტერ მანდელამაც ხომ ასეთი მეთოდით მიაღწია წარმატებასო?

დასაწყისში გითხარით, დიდი ადამიანები ძალიან ჰგვანან



ამ უბედურს ცოტაოდენი ტვინი რომ ჰქონდეს, წაერთუოდა, სადმე მხარეთმცოდნე წამოწებოდა, დუნდულს დუნდულზე გადაიდებდა და ჰეეეე... იქნებოდა იმპერატორივით, მაგრამ სად აქვს მაგდენი ტვინი? საკუთარ ცოლშვილსაც აღარ უნდა, თავის ე.წ. ოჯახსაც გადააფხას, ვიღაცა ქალი ჩამოაკითხავს ხოლმე უკრაინიდან და იძახის, სააკაშვილის ცოლი ვარო. ცოლი არა, დეპუტატ მაჭუტაძის ფეხები, პირწავარდნილი აგენტია, რომელიც პერიოდულად დახედავს ხოლმე. ხელმოწერილი ცოლი პოლანდიაში გაიქცა - ვერ გავიგე, მიმიკომ რანაირი ცხოვრება მონიღომა, ჩემთვის მოულოდნელი იყო. მეორემ ისევე ნიუ-იორკში გაქუსლა ბავშვთან ერთად, ციხეში არც უნახავს, გაცოფდა ამის საქციელზე, მანდელა არა, ნოდარ მელაძეო. დანარჩენები ხმას არ იღებენ, დუმან!

ამ დღეებში სააკაშვილმა ციხიდან მოიწერა, პუტინმა უკრაინასთან უკან რომ დაიხია, ამაში, რა თქმა უნდა, ჩემი დიდი წვლილიც არის, ციხიდან ის-

ვარ, არც ბიძინისტი, უბრალოდ გული მწყდება, რომ ნაცრისფრად თენდება და ნაცრისფრად დამდებაო.

ფფფფუუუურრრნალი სტი გრიგოლია ადრე „სამოთხეში“ ცხოვრობდა, ახლა ჯოჯოხეთშია. რატომ? არ დაიჯეროთ, ეს თამაშია, ვინმე დოლაბერიძე მასალაა, მას უბრალოდ იყენებენ, ალაპარაკებენ. გრიგოლიას თავისი ანგარიშები აქვს გასასწორებელი და ქარიშხალს ხატავს, მის გადაცემას რომ უყურო, სიცოცხლე აღარ მოგიხდება, გამოხვალ გარეთ და სულ სხვანაირი ცხოვრებაა. ეს ყველაფერი მათი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პროგრამიდანაა - მაგათთან კი გვარიანად ბნელა და მანამდე არ გათენდება, სანამ ხელისუფლებაში არ მოვლენ. გამოდის, იქით არასდროს გათენდება და არც უნდა გათენდეს, ეგ უკვე შეუძლებელია. რა ნელსონა, რომელი მანდელა, სადაური ჩაპაევი, მიხეილ?!

გელა ზამდელაშვილი
555 48 48 61



როდესაც ნაპოლეონი წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, მას მხოლოდ გენერალს ეძახდნენ. ამაზე ცოფდებოდა და თავის ოთახში ჩაიკეტებოდა და კატეგორიულად აცხადებდა, მე გენერალი კი არა, იმპერატორი გახლავართო!

სანამ იმპერატორს არ უწოდებდნენ, გარეთ არ გამოდიოდა, ამის გამო რამოდენიმეჯერ იშინებდა კიდევაც.

ო, როგორ ჰგვანან დიდი ადამიანები ერთმანეთს!

პატიმარ მიხეილ სააკაშვილსაც ძალზედ სწყინს, როცა ყოფილს ეძახიან. მას უხარია, ძალაყზე გადადის, როცა ისევე პრეზიდენტად მოიხსენიებენ. მესამე პრეზიდენტი, რომ ამბობენ, მაინც და მაინც არ სიამოვნებს - რას ჰქვია, მესამე, მეოთხე და მეცხრე, ის ხომ ერთადერთი და განუმეორებელია? დაიხ, ერთადერთი და განუმეორებელი, ჩვენი სამშობლოს, როგორც სახელმწიფოს დამრეგისტრირებული, შემქმნელი, აღმშენებელი. კი, ბატონო, ჩვენ გვყავდა დავით აღმაშენებელი, მაგრამ ეს არის აღმშენებელი. განსხვავება მხოლოდ ერთ ასოში არ არის, დავითი იყო, მიხეილი კი არის.

ამას წინებზე მისმა „ადუკანტი-მომრიგებელმა“ გვარამიამ მეტად საამაყო ამბავი გვაუწყა, უკრაინის პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილი დაზარალებულად ცნო, აწი ნახავთ, რაც მოვიგათო. ესე იგი, პრეზიდენტმა (რაკი ასე უნდა, ჩვენც ასე მოვიხსენიოთ) უკრაინის პროკურატურაში იჩივლა, თქვენს მოქალაქეს, ანუ მე ქართულ ციხეში ყოველდღე ყვერებით მკიდებენ, მაწამებენ, გთხოვთ, ეს საქმე გამოიძიეთო. იქაურმა პროკურატურამ საქმე წარმოებაში მიიღო, მაგრამ ასეთი წესი ჰქონიათ, ვისასაც წარმოებაში მიიღებენ, თურმე ყველას დაზარალებულად სცნობენ. სააკაშვილმა ქვეყანა შეყარა, ნახეთ, დაზარალებული გახლავართო. გეგონება არ ვიცოდით, რომ ადრეც დაზარალებული იყო, ოდნოდ ტვინით. ახლა ნახეთ, როგორ ფუთავს თავის „უბედურებას“ (სტილი დაცულია):

„ხომ დაეწერე, რომ პარასკევს დილით, უკრაინის პროკურატურის მიერ ჩემს დაზარალებულად ცნობის შემდეგ, ივანიშვილი კიდევ დაამძიმებდა ჩემს მდგომარეობას და აპა, კვირას შემოვიდა შეწუხებული რეჟიმის მუშაკი და გამომიცხადა, რომ ოჯახის

„არასაკმარისი გზისაგზაულებები“ და „უღანაშაულო“ სააკაშვილი

საზოგადოების დიდი ნაწილი უკმაყოფილოა, რომ სააკაშვილს მხოლოდ ექვსი წელი აქვს მისჯილი, ხოლო იმ უმძიმესი დანაშაულების გამო, რაც მას თავისი პრეზიდენტობის პერიოდში აქვს ჩადენილი, გამოძიება დუმს.

როცა ამ დუმის მიზეზების გამო კითხვები ისმება, პასუხი, ზმირ შემთხვევაში, ერთი და იგივეა: რა თქმა უნდა, ყველამ იცის, რომ სააკაშვილს უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ



სასამართლოზე ამ ბრალდებების დასამტკიცებლად საკმარისი მტკიცებულებები არ გვაქვს, ამან კი შეიძლება სააკაშვილის სასარგებლოდ იმუშაოს და ეს ყველაფერი პოლიტიკურ დევნად შეფასდეს.

— კი, მაგრამ, თუნდაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამო რატომ არ მიმდინარეობს გამოძიება? იქ ხომ ყველაფერი ხელისგულზე დევს? არსებობს კატასტროფული შედეგები, რაც ამ დანაშაულებს მოჰყვა. ამ მიმართულებით მაინც რატომ არ მიმდინარეობს გამოძიება? — კითხულობენ მოქალაქეები, მაგრამ ამ „ჩამჭრელ“ კითხვებზე ტრაფარეტული პასუხი აქვთ გაზაზიებული ვიდეო-ვიდეოებს — ეს რომ გავაკეთოთ, მაშინ საქართველო არა მარტო სააკაშვილს, არამედ რუსეთსაც უნდა დაუპირისპირდეს და მის წინააღმდეგაც უნდა აღიძვროს სისხლის სამართლის საქმე, რადგან სააკაშვილი მარტო, რუსეთთან შეთანხმების გარეშე ვერ განახორციელებდა რუსეთისთვის ქართული ტერიტორიების ნაწილის ჩაბარებას,

რაც გონივრული ეჭვი არსებობს. გვაქვს კი ჩვენ იმის ძალა, რომ რუსეთთან სამართლებრივ ომში ჩავებათ და რომც ჩავებათ, რა შანსი გვაქვს იმისა, რომ ამ ომში წარმატებას მივაღწიოთ?

აი, ასეთია ის არგუმენტები, რითაც ვიდეო-ვიდეოები სააკაშვილის წინააღმდეგ იმ უმძიმესი ბრალდებების წაყენებას უშედეგო და არაეფექტურ მცდელობად მიიჩნევენ.

ვიდეო-ვიდეოები, კი ვთქვით,



მაგრამ ამის მთქმელები სინამდვილეში ვიდეო-ვიდეოები კი არა, ქვეყნისთვის კარგად ცნობილი, საკმაოდ კვალიფიცირებული და ავტორიტეტული ანალიტიკოსები, ექსპერტები, იურისტები არიან, რომელთა სიტყვას საზოგადოებაში საკმაოდ დიდი წონა და ფასი აქვს.

მოდით, ვცადოთ, გავერკვეთ, მართლა გამოიწვევს რუსეთთან სამართლებრივ დავას და დაპირისპირებას, თუ საგამოძიებო ორგანოები 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილი დანაშაულების შესწავლას და გამოძიებას დაიწყებენ?

რა თქმა უნდა, არის მთელი რიგი საკითხები, რომლებშიც რუსეთი მხარედ გვევლინება, განსაკუთრებით საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდეგ, მაგრამ ნაციონალების დანაშაულებრივი, აშკარად ანტისახელმწიფოებრივი და ანტიქართული ქმედებები უშუალოდ ომის დაწყებამდე გაცილებით ადრე იწყება, რაშიც რუსეთის მონაწილეობა არანაირად არ იკვეთება.

ასე, მაგალითად, ყოველგვარ

ლოგიკას არის მოკლებული საქართველოს იმუამინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილება კოლორის ხეობისთვის სახელის გადარქმევის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეული შექმნის შესახებ.

ორივე ეს გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის მიერ იქნა დამტკიცებული, რის შედეგადაც კოლორის ხეობას ზემო აფხაზეთი ეწოდა, ხოლო „სამხრეთ ოსეთი“, რომელსაც ახალ-

გორი ხელოვნურად შეტენეს და ადმინისტრაციული საზღვრები გაუფართოვეს, არჩევნები ჩატარდა და „სამხრეთ ოსეთის“ „პრეზიდენტიც“ აირჩიეს.

მაღე საქართველოს ხელისუფლებამ კოლორის ხეობიდან ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული ხეობის მცველთა სახალხო ლაშქარი განაიარაღა, მოგვიანებით კი, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ხეობა რუსებს ჩააბარა.

როგორც ამბობენ, კოლორის ხეობის ჩაბარების „სპეცოპერაციისთვის“ ნაცებმა 50 მილიონი დოლარი აიღეს, თუმცა მოგვიანებით ამ თანხის ნახევარი, 25 მილიონი, სამშვიდობო ჯარების მთავარსარდალს, კულახმეტოვს, გადასცეს, რომ სამშვიდობო ძალები გასულიყვნენ და ქართული ჯარი ტრიუმფით შესულიყო ცხინვალში.

კულახმეტოვი მართლაც გავიდა ცხინვალიდან, მაგრამ მალევე შემოტრიალდა უკან, რაც ქართულ ჯარსა და სამშვიდობო ძალებს შორის შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რასაც მალევე მოჰყვა 58-ე არმი-

ის ფართომასშტაბიანი შემოჭრა საქართველოში, რაც ხუთ დღეში საქართველოს სრული კაპიტულაციით და ტერიტორიის 20%-ის დაკარგვით დამთავრდა.

რაც აქ ახლა ფრაგმენტულად და ზედაპირულად მოვეყვით, ნუთუ ეს არ არის „ნაცმოძრაობისა“ და სააკაშვილის მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაული ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ნუთუ არ შიშობა, საქართველოს საპარტალღამ-ცანამ და საბაგომიბრო ორგანიზაციამ ცალკე საქმიანობა გამოიკონ „ნაცმოძრაობისა“ და მისი ლიდერების მიერ ჩადენილი მასშტაბის დანაშაულები, რომლებიც შურაცხადი და არაადამიანური ადამიანების ნაომხმდარს უფრო ჰგავს, ვიდრე პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მოღვაწეების ნაომხმდარს.

იქნებ, ჯობს, რუსების შესაძლო გაღიზიანებაზე ფიქრს თავი ვანებოთ და ჩვენს დანაშაულებს ჩვენ თვითონ მოვთხოვოთ პასუხი.

რაც შეეხება მტკიცებულებათა არასაკმარისობას, რაც თურმე აფერხებს სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობისთვის“ ბრალის წაყენებას, არ მესმის, რას გულისხმობენ მკვანნი და მკვანნი „მტკიცებულებათა არასაკმარისობაში“, მაშინ, როცა ზედაპირზე დევს უამრავი უმძიმესი დანაშაული, რომელთა შესახებაც მთელმა ქვეყანამ იცის.

ქუჩაში ჩახოცილი ახალგაზ-



რდები, ციხეებში ნაწამები ათასობით პატიმარი, სამასი ათასი პროპაციონერი, უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანები, დაყაჩაღებული მოსახლეობა, 50 000-მდე პატიმარი ზუთმილიონიან ქვეყანაში, სხვადასხვა მაქინაციებით ბიუჯეტიდან გაზიდული მილიონები — ყოველივე ამის შემდეგ როგორ შეიძლება მტკიცებულებათა არასაკმარისობაზე ვილაპარაკოთ?

„ნაცმოძრაობა“ — ეს იყო არა პოლიტიკური ორგანიზაცია, არამედ კარგად ორგანიზებული ბანდა, დანაშაულებრივი სინდიკატი, პრიმიტიული ბანდურიანი, სოლო ამის შემდეგ როგორ შეიძლება მტკიცებულებათა არასაკმარისობაზე ვილაპარაკოთ?

„ნაცმოძრაობა“ — ეს იყო არა პოლიტიკური ორგანიზაცია, არამედ კარგად ორგანიზებული ბანდა, დანაშაულებრივი სინდიკატი, პრიმიტიული ბანდურიანი, სოლო ამის შემდეგ როგორ შეიძლება მტკიცებულებათა არასაკმარისობაზე ვილაპარაკოთ?

ბევრჯერ ითქვა და კიდევ გავიმეორებ: ქართული ნიურნბერგის პროცესი უნდა შედგეს, „ნაცმოძრაობა“ უნდა გასამართლდეს!

სანამ ეს არ მოხდება, ქვეყანას დიდხანს მოუწევს მუდმივი არასტაბილურობის და დაპირისპირების რეჟიმში ცხოვრება.

დავით ქავთარია



„შავი სათვალე აკეთა – ჩაკისონი ჩანაწერები“

(დადასრული, დასაწყისი იხ. „სბ“ N5)

საზოგადოებაში გავრცელდა ჭორები, თითქოსდა ქართული ეკლესიის წინამძღოლობა მოისურვა დისიდენტმა ზვიად გამსახურდიამ... ამ „ჭორებმა“ (არ იყო გამოცხადებული, რომ იგი თვით გამსახურდიას მომხრეების მიერ იყო გავრცელებული) საკმაოდ შეაშინა რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა, მისი უშიშროების კომიტეტი: ვაი და ვუი ჩვენს თავს, თუ ეს მართლაც ასე მოხდაო, ამით ზვიად გამსახურდია თითქმის ლეგალური პოზიციებიდან დაიწვევს ანტისაბჭოთა აგიტაციასო. ამას კი მოსკოვი არათუ არ გვაპატიებს, ამან შეიძლება ჩვენი თბილისი საგარძღები დაგვაკარგვინოსო. და, რაც შეიძლება „სწრაფად“ დაიწვევს მათთვის (და არა ეკლესიისთვის ან ქართველი ხალხისთვის) კომპრომისული პიროვნების ძებნა და არჩევანი შეჩერდა... მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ ისტორიულ მომენტში ღმერთმა არ მიატოვა ქართული ეკლესია, ქართველი ხალხი და სულიერ წინამძღოლად მოუვლინა დინჯი, წყნარი,

მოგახსენეთ, უფალმა მაინც გაიმარჯვა და გაიმარჯვა იმაში, რომ ამ ხალხს არ მიაღებინა ეს საბედისწერო გადაწყვეტილება, და ეს მაშინ, როდესაც მათი მზე ჩრდილოეთიდან ამოდიოდა. ყოველივე ეს — ამ საქმეებში ასე თუ ისე კარგად ჩახედულ ადამიანს — ღმერთის სასწაულმოქმედებად მიმაჩნია. იმასაც ვიტყვი: ილია მეორემ კურთხევისთანავე არ „გაუმართლა“ თავის იძულებით ლობისტებს, დაიწყო ეკლესიის რეორგანიზაცია, ახალგაზრდების მიზიდვა, დაამყარა კავშირი ინტელიგენციასთან მწერლებთან, კომპოზიტორებთან და, რაც მთავარია, მეცნიერებათა აკადემიასთან, კვლევით ინსტიტუტებთან, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ ინსტიტუტებთან, რამეთუ მათთან ურთიერთობა საშუალებას აძლევდა გაემარჯვებინა კომუნისტების მიერ შერყეული ფუნდამენტი. შემდეგ გამოჩნდნენ ახალგაზრდა კონსულტანტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ილია მეორეს გვერდით ისეთი სპეციალიზირებული მამულიშვილები, როგორებიც იყვნენ ნ.ჭავჭავაძე, პ.გუგუშვილი, მ.ლორთქიფანიძე, რ.ჩხეიძე და სხვები, რამაც დიდად დადებით



1977 წელი, სიონის საკათედრო ტაძარი. მე-12 ადგილობრივი საეკლესიო კრების პრეზიდიუმი, პატრიარქი პიმენი, მიტროპოლიტი ილია, მიტროპოლიტი იუვენალი. მიტროპოლიტი გაიონი აქვეყნებს კრების დეკლარაციას კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის არჩევს შესახებ.

შევიდად შეჭურვდა თანამოსაუბრეს თვალეში, თითქოსდა ჰიპნოზს უკეთებდნენ, და ეს „სახელგანთქმული იდეოლოგიური მოლაყებები“ გარკვეული პერიოდის შემდეგ თვითონაც წყნარდებოდნენ, ეკარგებოდნენ პარტიული პათოსი. გარკვეული პერიოდის შემდეგ ისინი დამორჩილებულნი და დამშვიდებულნი ხვდებოდნენ ამ მაგიური თვალეების გამჭოლად გამოხედვას და ტოვებდნენ მოსაუბრეს ისე, რომ ვერ გაეგოთ, რა მოხდა, რა ზეციურმა ძალიამ შეზღუდა და შებოროკა მათი აღმაფრენა, ისე რომ, თვით მკითხველმა განსაზღვროს, ვინ ვის უტარებდა მაშინ პროფილაქტიკურ საუბარს. ერთი კითხვაც დაებადა ალბათ მკითხველს: საიდან იცის ამ განცდებისა და დიალოგების შესახებ ამ სტრიქონების დამწერმა? გიპასუხებთ: პირადად მე არასოდეს დაესწრებოვარ ამ საუბრებს, თუმცა სამსახურეობრივი მოვალეობით მევალებოდა კიდევ, ვინაიდან მაშინ სწორედ იმ განყოფილების უფროსი გახლდით სუკში, რომელიც რელიგიას კურირებდა. მაგრამ, ეტყობა, ღმერთმა გადამარჩინა, და არასოდეს ვხვდებოვარ ილია მეორეს, თუმცა მაშინ ეს დიდ პატივად ითვლებოდა და ამას არავინ თაკილობდა. იყვნენ ოპერატიული მუშაკები, რომლებიც მომასხენებდნენ ხოლმე საერთო მდგომარეობას. გარდა ამისა, ჩემს მოადგილედ ითვლებოდა ოპერატიული მუშაკი უშიშროების კომიტეტისა, რომელიც ამავე დროს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულის (მინისტრის რანგში) მოადგილე იყო. საუბრებს კი ატარებდნენ, მაგრამ

შემდეგში საჭირო იყო ამ საუბრების, წერილობით ცნობებისა და აუდიოჩანაწერების გაშიფვრა და გაანალიზება. ამ „შავ საპატიო სამუშაოს“, ჩემდა საუბედუროდ, მე მავალდებინა, რადგანაც ამას გარკვეული პროფესიული მომზადება ესაჭიროება. ეს მართლაც „შავი სამუშაო“, ამიტომაც არაერთხელ მისაუბრია ამ იდეოლოგიებთან, როგორც ცეკაში, ისე უშიშროებაში, რომ მომესმინა მათი შთაბეჭდილებები, შეხედულებები, აზრები, აქცენტები, რათა ისინი შემდეგ გამომეყენებინა „ანალიტიკურ“ საბოლოო დასკვნებში. ღმერთს მაინც სურდა, რომ ჩვენ შევხვედროდით. ჩემი შვილის გიას დასაფლავებისას გათიშული ვიყავი თავს დამტყდარი უბედურებისაგან, მაგრამ მაშინაც გამიკვირდა ეს თხოვნა, მთხოვეს საწყალი გიას ნეთი სიონში დამესვენებია საღამოს და დილას გამოსამშვიდობებელი პანაშვიდი იქვე ჩატარებულიყო (ვიმეორებ, ეს ჩემი ან ოჯახის ინიციატივა არ იყო). რა თქმა უნდა, დავთანხმდი... ჩემი ოჯახის უბედურების კულმინაციის დროს, ალბათ, დაახლოებით რაღაც ოცდაათი წუთი (არ ვიცი, რამდენი) რჩებოდა პანაშვილის დამთავრებამდე, რომ ჩემთან მოვიდა მეუფე აბრაამი და ჩამწერულა: „რამდენიმე წუთში პატრიარქი მოვა სამძიმრის მოსახდელად და გიას უკანასკნელი წესის ასაგებადო. მას მიაჩნია, რომ იმდენად დიდი გია ფოცხვერეას დამსახურება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურებაში (გიამ ქართული ეკლესია და მსახურება დაარსა ლონდონში), რომ მან საჭიროდ ჩათვალა პირადად მოსულიყო ამ დიდად ღვთისმოსავ

ადამიანთან გამოსამშვიდობებლადო. ალბათ ისიც გაახსენდა, პირადად რომ იცნობდა, გია მას ახლდა ინგლისის დედოფალთან აუდიენციის დროს?! შემობრძანდა პატრიარქი, მოგვიხლოვდა, რაღაც არაჩვეულებრივი, ზებუნებრივი გრძობა დამეუფლა. შეიძლება ასეც არ უნდა მოეცევილიყავი. არ ვიცი, როგორ, რა შეგრძნებით, მის მუხლებთან აღმოვჩნდი, ხელეხე ვუკოცინდი და არ ვიცი რას ვთხოვდი, პატიებას, შეცოდებას, ცოდვების მონანიებას. ასეთ პარადოქსს გვიშადავს ხოლმე ცხოვრება...“

„ნაცების“ ზეობის ხანაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ არაერთი შეურაცხყოფელი და ცილისმწამებლური განცხადებები კეთდებოდა, განცხადების ავტორები რა თქმა უნდა, სააკაშვილის ხელისუფლების რუპორები გახლდნენ. რომლებიც ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედიის პირობებში იოლად აზორციელებდნენ და დღესაც ბედავენ, პატრიარქსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შეტევას. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ არა ნაცხელისუფლების მხრიდან მწვანე შუქი, თავისუფლების ინსტიტუტი და „ნაცელიტა“ ამდენს ვერ გაბედავდნენ, პატრიარქზე შეტევის მთავარი მიზეზი კი ის ავტორიტეტია, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მრავალწლიანი დაუღალავი შრომითა და ეკლესიის გაძლიერებით მოაპოვა. სააკაშვილი და მისი ხელისუფლება კი ავტორიტეტებს ებრძოდა და ვერ ხვდებოდა, რაოდენ სახიფათო მოედანზე თამაშობდნენ.

დაბოლოს, საინტერესოა, ვინ იქნება შემდეგი სპეცსამსახურის წარმომადგენელი, რომელიც მოგონებებს დაწერს პატრიარქზე და მასზე განხორციელებულ თვალთვალზე, იმ პროვოკაციულ ქმედებებზე რომლებიც ოთხმოცდაათიანი წლების შემდგომ განხორციელდა საპატრიარქოს და პატრიარქის წინააღმდეგ...



განსწავლული, ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული, ეკლესიისა და ერის წინამძღვარი, მართლაც უწმინდესი და უნეტარესი ილია II. დაიხ, უფლის ნება იყო, რომ ილია II მოევიდნა საქართველოს სულიერ მამად (კათოლიკოსად ყველა ქართველთა). მაგრამ იმ დროს ამ არჩევანის მანიპულირება სავსებით დამოკიდებული იყო ორი საბჭოთა სტრუქტურის — კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე. ისიც უნდა ითქვას, რომ კათოლიკოსობის საგარძღოს მამად კერატისთვისაც ჰყავდა ლობისტები, როგორც ცენტრალურ კომიტეტში, ასევე სუკში და მათი კანდიდატიც არანაკლებ კოდირებული იყო, ვინაიდან მისი მოსვლა ქართული ეკლესიის სათავეში მათ არამართო გარკვეულ ფინანსურ ასპარეზს უხსნიდა, არამედ იძლეოდა შესაძლებლობას, ეკლესიის სათავეებში მოეყვანათ არა ავტორიტეტული პიროვნება, არამედ მართლმადიდებელი და ამით მოსკოვისთვისაც ეამებინათ. მაგრამ, როგორც

თი მუხტი მისცა კათოლიკოსის მოღვაწეობის პირველ წლებს. ცდილობდა თუ არა საბჭოთა ხელისუფლება მის „დამორჩილებას“? რა თქმა უნდა, ცდილობდა და არა ერთხელ და ორჯერ. იბარებდნენ ცეკაში, მიდიოდნენ მასთან „აუდიენციასზე“ პარტიის იდეოლოგიური „ფრონტის“ მუშაკები, არაერთხელ ესტუმრნენ რეზიდენციაში სუკის ხელმძღვანელი იდეოლოგები ნ.მაისურაძე, რ.ქვარცხავა და სხვები და უტარებდნენ ე.წ. პროფილაქტიკურ „გამაჯანსაღებელ“ საუბრებს, მაგრამ სასურველი შედეგი მაინც არ ჩანდა. ასეთი საუბრების შემდეგ იწერებოდა, რა თქმა უნდა, წერილობითი ცნობები „ჩატარებული პროფილაქტიკური მუშაობის შესახებ“, იგზავნებოდა წერილები და დეპეშები ცენტრში და ა.შ. კათოლიკოსი დინჯად, მშვიდად, აუღელვებლად ატარებდა ჯერ კიდევ პატარა ჩანასახის სახით ეკლესიის აღორძინების ღონისძიებებს...ერთიც უნდა ითქვას და აუცილებლად, ამ საუბრების დროს, რამდენადაც ვიცი, კათოლიკოსი უმეტესად დუმდა, აქა-იქ თუ ჩაურთავდა რეპლიკას.



ბაიონი კერატისძე

მოამზადა მარიამ ჯანაშვილამ 511 17 73 72

(გაბრძნობა იქნება)

გაგონება თუ არა სინათლე გვირახის ბოლოს?

შეზღუდვი, შეზღუდვი, შეზღუდვი მსოფლიო

კარიბის კრიზისის დროსაც არ ყოფილა სამყარო ომის დაწყების საშიშროების წინაშე ისე ახლოს, როგორც დღეს არის. მწვევე პოლიტიკური ვითარება ვერც ჩინეთში ჩატარებულმა ზამთრის 24-ე ოლიმპიურმა თამაშებმა განმუხტა. პლანეტის ერთ-ერთმა მთავარმა სპორტულმა ზეიმმა დაწყებისთანავე პოლიტიკური ელფერი შეიძინა, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ, ავსტრალიამ, დიდმა ბრიტანეთმა და სხვებმა, წლევეანდელ ოლიმპიადას პოლიტიკური ბოიკოტი გამოუცხადეს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა თომას ბახმა თამაშების გახსნის ცერემონიაზე გულდაწყვეტილმა აღნიშნა: „...სამწუხაროდ, კვლავ წინ წამოიწია ოლიმპიადების ბოიკოტირების მახინჯმა გადმონათქვამმა“. პოლიტიკური ბოიკოტის მიუხედავად, პეკინის ოლიმპიადის გახსნაზე სხვადასხვა ქვეყნების მეთაურები ჩავიდნენ. აღსანიშნავია პოლონეთის პრეზიდენტის ანჯეი დუდას სტუმრობა. მისი ქვეყანა აშშ-ისა და ნატოს ერთგული მოკავშირეა ევროპაში. თუმცა მან თავი იმართლა — „დაემთხვა, რომ აზიური ტურნე ჩინეთთან და ვიწყო“. ჩინეთში იმყოფებოდა ასევე გაერთიანებული

ობდა. „...ჩვენ დავამყარეთ ახალი ტიპის ურთიერთობა, რომელმაც გადაასწრო ნებისმიერ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებს“, — ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის თქმით: „...რუსეთ-ჩინეთის ასეთი მჭიდრო თანამშრომლობა ისტორიაში ჯერ არ ყოფილა“. სი ძინპინის განცხადებით: „...ჩინეთი და რუსეთი დაიცავენ თავიანთ ფუნდამენტურ ინტერესებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში“. ჩინეთის მხარე სრულიად ეთანხმება რუსეთის მოთხოვნებს ნატოსა და აშშ-სადმი, დაუშვებლად მიანიშნა ახალი სამხედრო ალიანსის (AUKUS-ის) შექმნა აზიაში, რაკეტაწინააღმდეგო და სხვა შეიარაღების განთავსება მსოფლიოში. ჩინური პრესა წერდა: „...მსოფლიო პოლიტიკას ახლა განსაზღვრავენ ჩინეთი და რუსეთი და არა აშშ“.

ვამინგტონი შეაშფოთა პუტინის ჩინეთში ვიზიტმა. ჩინელებსაც დაემუქრნენ მკაცრი ეკონომიკური სანქციებით. პოლიტოლოგების შეფასებით, აშშ-მ თავად გახსნა „მეორე ფრონტი“, რაც შეიძლება წამგებანი აღმოჩნდეს მისთვის. იშველიებენ უზუცესი პოლიტიკოსის, ჰენრი კისინჯერის გამონათქვამს: „დაუშვებ-

მათი დიალოგი 4 საათზე მეტხანს გაგრძელდა და განსხვავებული პოზიციების არსებობა ერთობლივ ბრიფინგზე აშკარად გამოჩნდა. შოლცი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ნატო რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. შოლცმა დაადასტურა, უკრაინის კრიზისის მოგვარება მინსკის ხელშეკრულების პირობების შესრულებით არის შესაძლებელი. მოსკოვში ჩასვლამდე კიევში, უკრაინის პრეზიდენტს ვოლოდიმირ ზელენსკის შეხვდა. პუტინს თამამად უთხრა, ზელენსკი მზად არის, შეასრულოს მინსკის ხელშეკრულებათ (მსგავსი პირობა ზელენსკიმ საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონსაც მისცა ცოტა ხნის წინ). ჟურნალისტის კითხვაზე, უკრაინაში საუბრობენ, მათთვის არახელსაყრელია პირობების შესრულებათ, შოლცმა უპასუხა: „...ინტერპრეტაციები შესაძლებელია, მაგრამ ყველაფერი ხელშეკრულებაში წერია, რასაც 4 ქვეყნის მეთურების ხელმოწერები ამყარებს“. შეიჭრება თუ არა რუსეთი უკრაინაში, ამ კითხვას პუტინმა ზოგადად უპასუხა: „...ვიმოქმედებთ გეგმის მიხედვით ადგილზე განვითარებული სიტუაციიდან გამომდინარე. თუმცა ყველაფერი ჩვენზე არ არის დამოკიდებული“. ბრიფინგის შემდეგ




შე მასირებულ შეტევას და კიევს დაბომბავდა. ასახელებდნენ ზუსტ დროს — საბრძოლო მოქმედებები დილის 4 საათზე დაიწყებოდა. სხვადასხვა ტელეკომპანიებმა კიევის ცენტრში ვიდეოკამერები დაამონტაჟეს, რათა პირდაპირ ეთერში ეჩვენებინათ დაბომბვის კადრები.

გავრცელებულმა ინფორმაციამ პანიკა გამოიწვია. აშშ-ისა და ბრიტანეთის საელჩოები ორ კვირაზე მეტია, კიევიდან ლვოვში გადაბარდნენ. ამჯერად უკრაინელმა ჟურნალისტებმა დააფიქსირეს, რომ კიევის აეროპორტებიდან 30-ზე მეტი ჩარტერული რეისი გაფრინდა. ქვეყანა სასწრაფოდ დატოვეს ოლიგარქებმა,

მადგენლებსაც. სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ნედ პრაისმა განაცხადა: „...ჩვენ არასოდეს გვითქვამს ზუსტი თარიღი, როდის შეიჭრება რუსეთი უკრაინაში“. აშკარა ტყუილმა ჟურნალისტები მართლაც გააოცა.

ნატოს წევრი ქვეყნების მეთაურებს თითქმის 50 წუთს ესაუბრა გასულ კვირას ჯო ბაიდენი ვიდეოჩართვით. ამის შემდეგ უკრაინის მთელი ტერიტორია გავიდა, მაგრამ ახალი არაფერი უთქვამს. მისი მტკიცებით, რუსეთი რამდენიმე დღეში შეიჭრება უკრაინაში. ბაიდენის თქმით, ინფორმაციას დაზვერვის სამსახურებისგან იღებს და მათ სინამდვილეში ეჭვი არ ეპარება. ჩეხეთის პრეზიდენტი მილოშ ზემონი აშშ-ის სპეცსამსახურებს აკრიტიკებს: „ბოლო 30 წელში ცენტრალური სადაზვერვითი სამმართველოს მესამე უხეში ჩავარდნაა. პირველი გახლდათ, როდესაც ვერაქში ქიმიური, მასობრივი განადგურების იარაღის არსებობას ამტკიცებდნენ. მეორე — ავღანეთში თალიბები ვერ მოვლენ ხელისუფლებაში და ახლა რუსეთის უკრაინაში შეჭრის თარიღის დაანონსება“.



ლი ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელი ანტონიო გუტერეში. წლევეანდელი, პეკინის ზამთრის ოლიმპიადის დევიზი „ერთად საერთო მომავლისთვის“ გახლდათ. პეკინი კი მსოფლიოს სპორტის ისტორიაში პირველი ქალაქია, რომელმაც უმასპინძლა როგორც ზაფხულის (2008 წ.), ასევე ზამთრის თამაშებს.

წლევეანდელი თებერვალი პოლიტიკური მოვლენებით უზვეულოდ დახუნძლული აღმოჩნდა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ვიზიტი ჩინეთში. ჩინეთის მმართველმა სი ძინპინმა ჯერ კიდევ შარშან მიიწვია პუტინი ოლიმპიადის გახსნაზე. პუტინი უყოყმანოდ დათანხმდა და პირისპირ შეხვედრაც დაგეგმეს. სი ძინპინის და პუტინის დიალოგი 3 საათზე მეტხანს მიმდინარე-

ლია რუსეთ-ჩინეთის დაახლოება. ამით ორივე ქვეყანა გაძლიერდება. თუმცა თანამედროვე ამერიკელი პოლიტიკოსები პირიქით მოქმედებენ.

მოსკოვში განსახორციელებელ ვიზიტამდე აშშ-ის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის დაჟინებული მოთხოვნით, გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი ვამინგტონში ჩავიდა. მათი სააუბრის დეტალები, თავისთავად. უცნობია. ერთობლივ ბრიფინგზე შოლცი თავშეკავებულად საუბრობდა. უკრაინასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გერმანია ისე იმოქმედებს შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, როგორც სხვა ქვეყნები.

მარტივი ნამდვილად არ ყოფილა შოლცისა და პუტინის შეხვედრა მოსკოვში. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ

პუტინმა შოლცი ცალკე გაიყვანა და თარჯიმნების გარეშე ესაუბრა. სამშობლოში დაბრუნებულმა შოლცმა განაცხადა: „აუცილებელია, ნატომ, ევროკავშირმა, გერმანიამ გააუქმდესოთ რუსეთთან ურთიერთობა და არა პირიქით“.

თებერვლის პირველ რიცხვებში გამოცემა „ბლუმბერგის“ ინტერნეტგვერდზე დაიდო ანონსი: „რუსეთი შეიჭრა უკრაინაში“. ინფორმაციამ პანიკა გამოიწვია. გამოცემამ მალევე გამოასწორა შეცდომა, ბოდიშიც მოიხადა არასწორი ინფორმაციისთვის, მაგრამ ხინჯი დარჩა. გასულ კვირას აშშ-ისა და ბრიტანეთის პრესა, თეთრი სახლის, სახელმწიფო დეპარტამენტისა და პენტაგონის ინფორმაციებზე დაყრდნობით იუწყებოდნენ, რომ რუსეთი 16 თებერვალს დაიწყებდა უკრაინა-

რადს 23-მა დეპუტატმა... კიევის მოსახლეობას ნაკლებად სჯეროდა მოსალოდნელი აგრესიისა, ისინი მშვიდად იყვნენ. იგივე ჟურნალისტების ინფორმაციით, ქვეყნიდან გაიტანეს 13 მილიარდ დოლარზე მეტი თანხა. აქვე ვარაუდობენ, რომ გაცილებით მეტი ფულია გატანილი უკრაინიდან.

თეთრად გატარებულმა ღამემ ჟურნალისტებისთვის უშედეგოდ ჩაიარა — აჩვენებდნენ მხოლოდ ღამის კიევის კადრებს, სადაც ტრანსპორტი ჩვეულებრივ მოძრაობდა. ვილაც ოხუნჯმა მოულოდნელად საბჭოთა კავშირის ჰიმნი ჩართო მთელ ხმაზე. ამის გამო ტელეკომპანიებმა ბოდიშიც მოიხადეს. ცრუ ინფორმაციისთვის ასევე ბოდიში მოიხადა ბრიტანულმა პრესამ, რაც იშვიათია. თავის მართლება მოუხდათ აშშ-ის ხელისუფლების წარმო-

გია ბურღული
551 71 27 07

ყველაზე უსნაური სამინისტროები

მართალია, ორუელისეული სიმართლის სამინისტრო ჯერჯერობით არა, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მანც არსებობს უცნაური და უჩვეულო სამინისტროები, უწყებები და დეპარტამენტები...

მარტოობის სამინისტრო

მარტოობის სამინისტრო 2018 წელს შეიქმნა დიდ ბრიტანეთში. მას ნამდვილი მინისტრი მართავს, ტრეისი კრაუნი, რომელიც ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ დანიშნა.

ახალი თანამდებობა და მთლიანად მიმართულება დეპუტატ ჯო კოქსის უკვდავსაყოფად შეიქმნა, რომელიც ბრექსიტის რეფერენდუმამდე 2017 წელს ექსტრემისტმა მოკლა.

ჯო კოქსმა შესანიშნავად

ობასთან ბრძოლის სტრატეგია, ხოლო გაერთიანებული სამეფოს სტატისტიკის ნაციონალურმა სამმართველომ კი მარტოობის გაზომვის მეთოდიკა.

პანდემიისა და თვითმკვლელობების რიცხვის ზრდის გამო (განსაკუთრებით ქალებს შორის) იაპონელებმა გადაწყვიტეს თავიანთი თანამემამულეების ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა და პრემიერ-მინისტრ იოსიხიდე სუგას თაოსნობით ამომავალი მზის ქვეყანაში შეიქმნა მარტოობის სამინისტრო, რომელსაც სათავეში რეგიონული განვითარების მინისტრი ტეცუსი საკამოტო ჩაუდგა.

იაპონიის ხელისუფლებამ გააძლიერა მარტოობის პრობლემებთან ბრძოლის მეთოდები, რომელიც ოაპონიის არქიპელაგზე პანდემიის შემდეგ უფრო მეტად აქტუალური გახდა. იზოლაციის

შორის დღე, რომელშიც პრემიერ-მინისტრის გარდა 35 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. იოგას სამინისტროს მიზანია იოგას კულტურის პრაქტიკის მხარდაჭერა და ტრადიციული ინდური მედიცინის პოპულარობის ამაღლება. იოგას სამინისტროს ყოველწლიური ბიუჯეტი 174 მლნ დოლარს შეადგენს.

ბედნიერების სამინისტრო

ბედნიერების სამინისტრო ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში არსებობს.

პირველად ეს სამინისტრო ბუტანში, ჰიმალაიში, ჩინეთსა და ინდოეთს შორის მდებარე პატარა ქვეყანაში გაჩნდა. ადგილობრივი ხელისუფლება ერთიანი შიდა პროდუქტის ნაცვლად ერთიანი ნაციონალურ ბედნიერებას ზომავს. ბედნიერების ინდექსით ბუტანს მსოფლიოში მე-8 ადგილი უკავია. ქვეყანაში აკრძალულია ტყის გაჩეხვა, ცხოველების დაზოცვა, ქიმიური სასუქის შეტანა, თამბაქოს შეტანა და გამოყენება.

ბუტანში ბედნიერების სამინისტროს მოღვაწეობას საფუძვლად ქვეყნის კონსტიტუცია უდევს. ბუტანი იყო მსოფლიოში ბოლო ქვეყანა, რომელმაც 1999 წელს ტელემუწყობლობა დაიწყო. ქვეყანაში მხოლოდ ერთი სახელმწიფო ტელეარხია. გამოკითხვების თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 3 პროცენტია ცხოვრებით უკმაყოფილო.

ანალოგიური სამინისტროები არსებობს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, რომელსაც ქალბატონი ოზოუდ ალ-რუმი ხელმძღვანელობს.

ბედნიერების სამინისტრო არსებობს ასევე, ვენესუელაში, ეკვადორსა და ინდოეთში.

ბაერთიანების სამინისტრო

სამხრეთ კორეის გაერთიანების სამინისტრო 1969 წელს შეიქმნა, როგორც გაერთიანების ნაციონალური საბჭო. ეს სტატუსი სამინისტრომ 1998 წელს მიიღო. სამინისტროს მთავარი მიზანია სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის გაერთიანებისკენ მიმართული ღონისძიებების სწორად და პროდუქტიულად წარმართვა.

ჩრდილოეთ კორეაშიც არსებობს ამ სამინისტროს ეკვივალენტი — სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანების კომიტეტი, სადაც



იოგას მინისტრი

სამხრეთკორეულს უპატივცემულოდ მოიხსენიებენ. შესაძლოა, ამის მიზეზი გაერთიანების სამინისტროს ზოგიერთი ფუნქციაა. კერძოდ, სამინისტროს მთავარი მიზანია ჩრდილოეთ კორეიდან სამხრეთში გადასული ადამიანების დაცვა და მათ სამშობლოში ადამიანების უფლებების დარღვევების გამოაშკარავება. სამინისტროს დახმარებით ხორციელდება ერთობლივი პროექტები, რასაც ქვეყნისთვის დადებითი შედეგები მოაქვს. დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება, ასე, მაგალითად, 2019 წელს გაერთიანების სამინისტროს ერთობლივი პროექტებისთვის გამოიყო 980 მლნ დოლარი, რაც წინა წლის ბიუჯეტზე 15 პროცენტით მეტი იყო. ქვეყნებს

ვი დახმარების დაწესებულებების ასაშენებლად და მათ შესანახად შესწირეს, ასევე მიწის ნაკვეთები და შენობები, რომლებიც მუსულმანებმა შესწირეს, მაგალითად, ბაზარი, საავადმყოფო ან სხვა შენობები, რაც საზოგადოების საჭიროებებისთვის გამოიყენება.

„ნასა“-ს კლანტის თავდასხვის კოორდინაციის განყოფილება

2016 წლიდან ამერიკის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევების ნაციონალურ სამმართველოში (NASA) არსებობს პლანეტის თავდაცვის კოორდინაციის განყოფილება. მისი შექმნის შესახებ რომ შეტყვის, ადგილობრივმა მედიასაშუალებებმა



იაპონიაში



ბამართიანების სამინისტრო

იცოდა, როგორი მასშტაბური იყო ქვეყანაში მარტოობა და ცდილობდა, მარტოობის ადამიანებს მაქსიმალურად დახმარებოდა.

ახალმა სამინისტრომ შეიმუშავა სამთავრობო სტრატეგია მარტოობის პრობლემებთან ბრძოლაში და ერთობლივად მუშაობს ჯო კოქსის ფონდთან და კომერციულ და საკვლევო ორგანიზაციებთან.

დიდი ბრიტანეთის წითელი ჯვრის საზოგადოების მონაცემებით, ყოველწლიურად 9 მილიონი ინგლისელი უჩივის მარტოობას.

ხელისუფლების მონაცემებით, ადგილობრივი ექიმი-თერაპევტების სამი მეოთხედი ამბობს, რომ დღეში რამდენიმე ადამიანს მანც ხვდებიან, რომლებიც მარტოობით იტანჯებიან. ამას ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები მოჰყვება — გულის დაავადებით დაწყებული, ალცჰეიმერის დაავადებით დამთავრებული, — აღნიშნულია ბრიტანეთის ხელისუფლების საიტზე. მთავრობამ შექმნა მარტო-

ობა კონტაქტების შემცირებას ადამიანები ძალიან განიცდიან. განსაკუთრებით მგრძობიარეები ხდებიან ისინი კარანტინის პირობებში, როდესაც იძულებულნი არიან, შეცვალონ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული კავშირები და ცხოვრების მიერ შეთავაზებულ ახალ წესებს შეეგუონ.

იოგას სამინისტრო

ინდოეთში 2014 წლიდან არსებობს იოგას სამინისტრო. მისი სრული დასახელებაა „აიუსჰ-ის სამინისტრო“, რაც აიურვედას, იოგას, უნანის, სიდჰისა და ჰომეოპათიის სამინისტროს ნიშნავს. ადრე ამ მიმართულებებს ინდოეთის ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალური დეპარტამენტი კურირებდა, მაგრამ დეპარტამენტი ყველაფერს ვერ აქცევდა ჯეროვან ყურადღებას და ამის გამო ცალკე სამინისტრო შეიქმნა.

როგორც გამოცემა The Economic Times-ი წერდა, 2015 წელს აღინიშნა იოგას საერთა-



ჩაილის მინისტრი



იოგას მინისტრი

ჩაის ექსპერტის კომისია

ამერიკაში 1897-დან 1996 წლამდე არსებობდა ჩაის ექსპერტების კომისია. მისი თანამშრომლები ამოწმებდნენ, სინჯავდნენ და სწავლობდნენ ჩაის ყველა სახეობას, რომელიც ამერიკის მთავრობას შეჰქონდა ქვეყანაში. მათი ინტერესის სფერო იყო არა მხოლოდ ნაყენის გემო, არამედ მისი ხარისხი, რაოდენობა, სისუფთავე და ა. შ.


გელა გველესიანი
568 90 81 22

„კონტაქსტი ნავი ან სასტუმრო კი არა - საყურობილა!“

კოეტიან ინტერვიუ, შეიძლება, აღვილია, მაგრამ კოეტიური ინტერვიუ უმაბრესია...

„1988 წლიდან ვანარმოებ საკუთარი გრძნობების პარალელურ დათვლას“

გთავაზობთ ინტერვიუს ჯორჯ მებისონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთან, პრინც ჯორჯის საგრაფოს ახალგაზრდული კინოფესტივალის მთავარი სცენარისტის პრინცი მფლობელთან, პენ-ოქსფამის პრემიის ლაურეატთან, მწერალ ირაპლი პაპაბაძესთან



— ბატონო ირაკლი, თქვენ, როგორც მწერალი, საზოგადოებას ახსოვხართ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობებით, ბოლო ხანს თქვენი მონაწილეობით ინტერნეტით საინტერესო ლიტერატურული დიალოგები გავრცელდა. რას ემსახურება ამ საუბრების გასაჯაროება და საერთოდ საჭიროება? ტელევიზიები და სხვა მედიასაშუალებები ამ ტიპის გადაცემებს რატომ ერიდებიან და სჭირდება თუ არა ეს საზოგადოებას?

— ეს არის ჩემი გრძნობების პარალელური დათვლა. 1988 წლიდან ვაწარმოებ: საკუთარი გრძნობების პარალელურ დათვლას. რადგან დღეს აღარც ერთი კომისია აღარ მუშაობს. კვანტი გამოსდეს კვანტიტატიურს - კვალი გაუქრეს კვალიტატიურს და მაინც შენ ჩემთვის პარალელის გარეშე ხარ. ვერაფრით მოვახერხე შენი პარალელური დათვლა, ან გამოთვლა, ან დაანგარიშება ან ციფრებში გამოყვანა და ეს რატომღაც არ მაუბედურებს! რაც შემოიღეს ეს მეთოდი: ვეძებ პარალელური დათვლის მეთოდს და შედეგს; უოლ სტრითის კიბეებზეც ავედი, ბრუკლინის გეტოშიც ვიცხოვრე პატიოსნად; ვიშრომე შრომის ბირჟაზე მშენებელ მუშად, მთრეველად, მომსახურე პერსონალიად, სამედიცინო კლერკად, პორტერად; ბოდლერად; ბორდელებში მოსიარულე ინ-ტურისტად; ბევრი მეგობარიც გავიჩინე ბორდელებში; და უნდა გითხრათ: მეგობრებო, ბორდელებში მომუშავე სექს-მუშაკები ბევრად პატიოსანნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ნებისმიერი პოლიტიკოსი; საჯარო, ჯარისკაცი თუ უჯარო მოხელე ხელის მადლით მომუშავე ადამიანები; ვნახე უამრავი სოციალური კატა, ვნახე უამრავი პოლიტიკური კლიზმა და ერთად მოიწიეს კატა-კლიზმა; რომელიც, ჩვენ მოკვდავ ადამიანებს მოგვიბრუნდა; ქარიშხალიც უამრავი აღვიცხე ჩემს ექსელის გვერდზე; მაკინტოშის კომპიუტერით შეიარაღებულმა; ამ მილენიუმში - ვერაფრით ვნახე ნებისმიერი მოვლენა უ პარალელოდ. ფორდის პარალელი სიტროენმა ნახა, მაიკროსოფტმა მაკინტოშს მოპარა სიილოე; მერე ბილ გეიტსმა სტივ ჯობსს 300 მილიონი გადაუხადა — არ დარჩა ვალში; ყველა ადამიანის კლონი 1996 წელს მოიგონეს ვაცში; ადამიანებს აზომებენ საკუთარ გრძნობებთან ერთად. და ყველა ჩვენთანგანს აძლევენ კომპიუტერულ ემოტი კონებს; ქალთან სიახლოვე პორნოგრაფიის ჰაბმა შეცვალა; კინემატოგრაფი გაა კუბეს — თვალი ტიკ-ტოკად აქციეს; გან ზომილება გაგვიოთხეს ფიზიკურადაც და სხეულითაც; დღეს ვაშინგტონში ქაოსი იწყება — შერონ სტოუნი გაბრაზებულია; შავკანიანი ამომრჩეველების მობილიზაცია ეკლესიებს დაავალეს; პლენისტიშენი პარალელურად ითვლის შეგდებულ და შეუგდებელ გოლებს; ტროლებს - აფინანსებს ყველა დიდი კორპორაცია და არა მარტო ისინი; ტროლი ხომ ჩვენი პარალელური არსებაა და ის ბევრია; ბოტი ღირს თორმეტი ზლოტი, ის სულაც არ არის ბოროტი; მობილური უბილურია; უბიწო ბიწიერია; ყველაფერი ჰალუცინაციაა კომპიუტერულ მსოფლიოში; უკვე ოცდათორმეტი წელია ჩემი საკუთარი გრძნობების პარალელურ დათვლას ვაწარმოებ. ოღონდ ერთი რამეა, ძვირფასო: შენი პარალელი ვერასდროს ვერსად მოვძებნე და ამით ბედნიერი ვარ!

— „როცა ქვეყნები ქუხან, ლიტერატურა დუმსო“, ქვეყნების ხმა მთლად ყურის-ძირში არ ისმის, მაგრამ ლიტერატურა, ასე ვთქვათ, დუმს არა მხოლოდ საქმთველოში, არამედ მსოფლიოშიც.. მე, ცხადია, დიდ ლიტერატურას ვგულისხმობ, გოეთედან რომ დავიწყოთ ჯოისამდე და თუნდაც ფოლკნერამდე მოვიდეთ, ამ დონის ლიტერატურა სადაა? და ეძებს თუ არა ამ ტიპის ლიტერატურას მკითხველი, მოაზროვნე ადამიანი, ზოგადად, და მსოფლიო ცივილიზაცია, საერთოდ?

— ლიტერატურა არ უნდა დუმდეს და არც დუმს. ჯერ ტრაგედია - მერე ფარსი ჩვენი საუკუნის ნიშანია. ჯერ იუპიტერი - მერე მარსი ჩვენი ტელესკოპის ტიხარია. სლავოი ჯიჟევი ლუდს სვამს ბარში ბუენოს აირესში... მის გვერდზე ბოხები ქვიფობენ, და მარქსისტი ახალგაზრდები. ჩვენი საუკუნე უაზრობისგან იწვის იწვის გახურებული თავის უმიზნობით.

და ამ დროს დიდდება ვერე და ამბობს: დიდება ვერეს! დისტრიბუტორს უბრძანებს, რომ იყოს მონა, დისტრიბუტორს უთხრეს, რომ დაემორჩილოს კომერციის დაუნდობელ ანბანს, მან დღესაც ლუდი უნდა გაყიდოს. დისტრიბუტორმა ის ლუდი უნდა გაყიდოს, რომელიც ლაგუნას საწყობში დევს; იქ გუშინ ვეფხვი დალანდეს, მაგრამ ეს კომერციისთვის გამოსადეგი არაა! — გაიგე დისტრიბუტორო?! ლუდი გასაყიდა — შენ ლუდის გამყიდველი ვეფხისტყაოსანი უნდა გახდე! იმიტომ რომ, კომერცია გიბრძანებს ვაჭრობის მონობას, ვეფხვს კი მაინც მოკლავენ და მერე იტყვიან „ლიკვიდაციას“. დისტრიბუტორი იღებს ლუდის ყუთებს, დისტრიბუტორი სიკვდილს ეთამაშება კომერციის სახელით და ვეფხვიც ყელში წვდება! რატომ მკლავ ვეფხო, მე ხომ კომერციის უბრალო მონა ვარ?! იმიტომ გკლავ რომ ჩემი ყოფნა არ შეიძინე! ვეფხო, მე ხომ მთავრობამ მითხრა, კომერცია გააგრძელო?! იმიტომ გკლავ, რომ მთავრობას დაემორჩილე! ვეფხო, მე ხომ ჭანჭიკი ვარ მხოლოდ?! ვეფხო, მე ხომ თავისუფლება წამართვეს?! ვეფხო, მე ხომ თავისუფლება წამართვეს?! რატომ მკლავ ვეფხო, მე ხომ არავინ ვარ?! იმიტომ გკლავ, რომ არავინ ხარ! დისტრიბუტორო, შენ უნდა იყო ის! დისტრიბუტორო, შენ სუნთქვა უნდა შეგეძლოს! იმიტომ გკლავ, რომ კომერციას დაემორჩილე! რატომ მკლავ ვეფხო, მეც ხომ დედა მყავს? იმიტომ გკლავ, რომ დედაშენიც ბიზნესშია! რატომ მკლავ ვეფხო, ჩემი დედა იტირებს?! შენი დედა დიდი ხანია ფროიდმა ატირა! იმიტომ გკლავ დისტრიბუტორო, რომ ფროიდს დაუჯერეთ შენ და დედაშენმა! იმიტომ გკლავ დისტრიბუტორო, რომ სამუშაოს დაკარგვის ჩემზე მეტად გეშინია! ვეფხო, ნახე, რა ლამაზია ქარი ტიფლისში... მე უკვე ვკვდები, ვეფხო, იქით მივდივარ.. ნუ გეშინია, დისტრიბუტორო, მალე მეც წამოგვევები, არ მაცოცხლებს კომერცია, მე აჯანყებულ ვეფხვს. ვეფხო, ნახე, რა მშვენიერი ქალი მოდის ლაგუნასკენ.. ვეფხო, იცი, როგორ შემეფარდებოდა ეს ქალი სიკვდილის წინ.. ნუ გეშინია, დისტრიბუტორო — მეც დაგეწევი ცოტა ხანში — კომერცია ვერ იტანს თავისუფალ ვეფხვებს! ვეფხო, არ ვიცი, ეს თაღედი ჩემი სიზმარია თუ ცხადი? დღეს თაღედი ყველას სიზმარია და ცხადი. ვეფხო, არ ვიცი ჩემი ცხოვრება სიზმარია თუ ცხადი? დისტრიბუტორო, გაგვიანდება და ჩქარა წადი! ნუ გეშინია, დისტრიბუტორო - მეც დაგეწევი! კომერცია ვერ ამიტანს ორ საათზე მეტს. კომერციას სძულს თავისუფალი ვეფხვი! კომერციას სძულს დისტრიბუტორის ფრენა! ნუ გეშინია, დისტრიბუტორო - მეც დაგეწევი. და მეც მყავს დედა, დისტრიბუტორო. ოღონდ დედაჩემს ფროიდით ტვინს არ უწამლავენ, ის ზოოპარკშიც არ არის - ის ტყვეა! იცი, რა, ვეფხო - დედაჩემს შურს დედაშენის, დედაშენი თავისუფალი ვეფხია! დედაჩემი კი ციხეში ჩასვა ფროიდის ფანტომმა პენისის შურის ციხეში, ვეფხო! მოვდივარ ბედნიერი საიქიოში, ვეფხო, მოვრჩი მე ლუდის დისტრიბუციას! აღარ მინდა ხავერდის სიზმრები და იქ - ვიცი, რომ ერთად ვიქნებით! იქნებ, მეც გავხდე კომერციისგან თავისუფალი ვეფხი. ტფილისის კაბიტალის ჯუნგლებში მე ხომ სულ ციხეში ვიჯექი. ვეფხო, მე მოვდივარ - შენთან ერთად იმ ქვეყანაზე, იქ ორივენი თავისუფლები ვიქნებით.

— გოეთე ვახსენე და ალბათ, გახსოვთ მისი ამოხვრა: „გერმანია არ მიხსენო, არ მიხსენო ლამაზო“... ბატონო ირაკლი, საქართველო სულიერად იმ მდგომარეობაში ხომ არაა, მწერალს რომ წამოსცდეს, საქართველო არ მიხსენო?

— პოეტს ყოველთვის აწუხებს ის, რომ სამყარო, ზოგადად, უსამართლოა, რაც არ უნდა წარმატებული იყოს იგი.

რატომ ვარ არაადექვატური, რატომ არ ვხედავ კონტექსტში? ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ კონტექსტი ძალიან კომფორტული ნავია, რომელიც მთელი მსოფლიოს ზღვებს ყველა შტორმისა და ქარიშხლის გვერდის ავლით მოგატარებს. მეორე შეხედვითაც ისე ჩანს, რომ კონტექსტი, ხუთვარსკვლავედიანი სასტუმროა, სადაც მუდმივად გემსახურებან. შენ კი საკუთარ ინსტინქტებს და სურვილებს უპრობლემოდ იკმაყოფილებ. ფროიდის ლოგიკით, ყველა კაცი საკუთარი დედის გაუპატიურების კონტექსტში ჯდება. პობსის ლოგიკით, კონტექსტი ისაა, რომ ყველა ყველას მტერია და სწორედ ამისთვის გვჭირდება ლევიათანი. მარქსის მიხედვით, ადამიანის მატერიალური მოთხოვნილებების კონტექსტში უნდა განვიხილოთ ადამიანური საზოგადოება. ზოგი ამბობს, რომ ფროიდსაც, პობსსაც და მარქსსაც, უკვე კლიმაქსის მერე დაუდგათ გამოქლიავეების კონტექსტი. ესეც ლეგიტიმური კონტექსტია. დღეს ახალი კონტექსტების ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომელსაც ახალი ლოგიკა ამოძრავებს და ამ ლოგიკის მიღმა დარჩენილებს არაადაქვატურებს ვუწოდებთ. მაშ, რატომ მუხიზდება კონტექსტი და არ მინდა ამ კომფორტულ ნავში ჩაჯდომა?! ნუთუ მეც კლიმაქსიანი ფროიდივით, პობსივით ან მარქსივით გამოვქლიავედი? ჩემო დებო და ძმებო, გამორიცხული არაფერია. ასეთ ბუმბერაზ ფიგურებს თუ დაემართა ის დაავადება, რომელსაც დალოცვილ ქართულზე გამოქლიავეება ჰქვია, რატომ არ შეიძლება დამემართოს ეს მე?! რა, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია არ ითვალისწინებს ფროიდივით გამოქლიავეების უფლებას? ჩემს ასისტენტს მინდა ვთხოვო, რომ გადაამოწმოს ეს დებულება. დარწმუნებული ვარ, უნდა გვექონდეს ეს ინდივიდუალური თავისუფლება— ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია ხომ მხოლოდ ინდივიდუალურ უფლებებს ცნობს და არავითარ შემთხვევაში საერთო უფლებებს! მაგრამ, მაინც მინდა გაგიზიაროთ ჩემი კრიმინალური მოსაზრება, მეგობრებო! ჩომპანეროს! კონტექსტი ნავი ან სასტუმრო კი არა — საპრობილეა! სიტყვის და აზროვნების ბიუროკრატების დაწესებული „ადექვატურობა“ კი სწორედ ის გამოქლიავეებაა, რომელიც სიბერეში დაემართა პობსსაც, ფროიდსაც, მარქსსაც და კიდევ უამრავ სხვასაც. როცა ადამიანი საკუთარ ბრმა ინსტინქტს ბიზნესად აქცევს და ამ ბიზნესით შემდგომ „წარმატებას“ მოიპოვებს! „წარმატება“ ყველაზე არაადექვატური მდგომარეობაა მაშინ, როდესაც ადამიანების ერთი პატარა ნაწილი უამრავ სხვას თავზე შეგასვავს, იმ პრობლით, რომ მთელი დარჩენილი ცხოვრება შენს ქვემოთ აღმოჩენილებს თავში ფეხები უნდა ურტყა, ვინცობა ვინმემ ეგ უტვინიო თავი არ წამოყო და ბედნიერებაზე არ იფიქროს! სწორედ ამიტომ იყო, რომ მოდილიანი არ ჩაჯდა კონტექსტში! სწორედ ამიტომ იყო, რომ ვან გოგმა ყური მოიჭრა! უპ, როგორ მესმის მისი! მაშინ, როდესაც „წარმატების“ ყველა კარი ღია იყო მისთვის, ყური მოიჭრა და თავი გიჟად გამოაცხადა! რემბო, პატარა ბიჭი რემბო, რომელსაც ჯერ ვერლენი გიჟივით შეუყვარდა და მერე ლექსების წერას საერთოდ თავი დაანება — აფრიკაში წავიდა — დასაღუბად! ნიკო ფიროსმანი — ეს განუმეორებელი გენიოსი - არ ჩაჯდა მისი დროის კონტექსტში — არ მიემსახურა თავისი დროის გაქსუბულ ვაჭრუკანებს და არ დაიწყო მათი ტუალეტების მოხატვა! ნიკალა არ ჩაჯდა კონტექსტში! არც ვაჟა-ფშაველა ჩაჯდა კონტექსტში — არც ერთ მოდურ იდეას არ აპყობდა! აპოლინერი? ბუთპოვენი და ვაგნერი? ვინ ვარ მე, რომ გაგბედო და კონტექსტში ჩავჯდე?! სიყვარული კონტექსტში არ ზის — ის სრული სიგიჟეა! იდის და ეგოს მოთხოვნებს არ ექვემდებარება! პლატონური ეროტიულობაც კონტექსტს მიღმა — არ ემორჩილება მათემატიკურ ლოგიკას!

თვით მათემატიკის უდიდესი აღმოჩენებიც ხომ ყველანაირად არღვევდა ყოველთვის კონტექსტს! კვანტურმა ფიზიკამ ის დაგვიმტკიცა, რისი დამტკიცებაც შეუძლებელი იყო! „შერეკილები“ გაფრინდნენ ცაში და დღეს უკვე იმდენი თვითმფრინავი დაფრინავს რომ თვლაც კი ჭირს! ჯორდანო ბრუნო დაწვეს, მაგრამ კონტექსტი მაინც შეცვალა — ახლა დედამიწა უკვე მრგვალია! მთელი ებრაული სოფელი, რომელსაც ჯვაროსანმა ყაჩაღებმა სიცოცხლის ფასად რელიგიის შეცვლა თხოვეს, და რომელმაც სიცოცხლე დათმო თავისი რწმენის სანაცვლოდ — არაადაქვატურად მოიქცა! არაადაქვატურად, მაგრამ სწორად! ის რამდენი ათასი ქართველი, რომელმაც ხატს ფეხი არ დააბიჯა და სიცოცხლე დათმო, კონტექსტიდან სრულიად ამოვარდნილი იყო — ინსტიქტური ცხოვრების კონტექსტიდან! რა სიგიჟეა ხატს ფეხი არ დააბიჯო, როცა თავს გაჭრია — მაგრამ მაინც რა მაგარია! გალაქტიონ ტაბიძე და ბოდლერი - ღვინის მოყვარული არაადექვატური გიჟები! დაბოდილობდნენ თავიანთ ქალაქებში და სიგიჟეებს რომავდნენ! როგორ ამოვარდნენ კონტექსტიდან! მაშინ, როცა ლოგო-ცენტრიზმის დიქტატურა დადგა, გიჟები მეტაფიზიკაზე ლაპარაკობდნენ! მეოცე საუკუნეში დიდი ქალების შემაცდენელი ჟაკ დერიდა „სულებზე“ ალაპარაკდა! ბურჟუა და ბოლშევიკური სეკულარიზმის სრული ბატონობის ხანაში, მიშელ ფუკო ირანში სულიერ რევოლუციას შესტრფოდა! რა სისულელეა და მაინც რა მაგარია! ფანატიზმის და ინკვიზიციის პერიოდში, კათარებმა ნამდვილ და რაციონალურ მრწამსს წყნარად შესწირეს თავი! ჩემო საყვარელო მეგობრებო, დღეს მანქანების და რობოტების კონტექსტის დროა. დღეს ადამიანური ემოცია - კონტექსტის გარეთაა დარჩენილი! დღეს ვისაც უყვარს - გიჟია! ვინც გამწარდება ამ სიყვარულის არარსებობის გამო — არაპოლიტიკორექტული! დღეს სიძულვილის ენას ვითომ ებრძვიან და გულცივობის ენას ამკვიდრებენ! სიყვარული სიგიჟეა მეგობრებო! ღმერთი არის სიყვარული! ლოგო-ცენტრული დასკვნა: თუ უანგარო სიყვარული ადამიანის ეგოისტური მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ლოგიკით სიგიჟეა და ღმერთი არს სწორედ ეს უანგარო სიყვარული, ესე იგი, ბოდიში მომითხოვია და ღმერთიც თვითონ გიჟი ყოფილა! გაუმარჯოს გიჟ ღმერთს! რომელიც თვითონ არც ერთ კონტექსტში არ ჯდება და ჩვენც მოგვიწოდებს რომ არ ვიყოთ ამინდის პროგნოზის ობიექტები! ადამიანი ამოუცნობი და კონტექსტიდან ამოვარდნილი არსებაა! სწორედ ამაშია მისი მშვენიერება! ადამიანი კონტექსტზე ზემოთ დგას, რადგან ღმერთი კონტექსტზე ზემოთ დგას და: ღმერთმა ადამიანი საკუთარი სახეების მიხედვით შექმნა! ჩემო საყვარელო დებო და ძმებო, ჩემო საყვარელო და ცოლებო, მეგობრებო და მტრებო: ყველას გთხოვთ, არ ჩახხდეთ კონტექსტში! რამეთუ კონტექსტი კომფორტული ნავი კი არა, ჯოჯოხეთის საპრობილეა! და თუ მაინც აღმოჩნდებით კონტექსტის საპრობილეში: დიდი გინზბერგის „ღმუილი“ არ დაივიწყოთ! არც ვაჟას „ქეთელაური“.. და გამოგიტყდებით, ჩემო საყვარელო — მე ბედნიერი ვარ, როცა კონტექსტში არ ვზივარ! ბედნიერი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ვინც კონტექსტიდან ამოვარდნას შეძლებს! თქვენც გისურვებთ ბედნიერებას — ის ყველა „წარმატებას“ სჯობია! — საინტერესოა ლექსებით პასუხი, ასეთი ინტერვიუ არასდროს მქონია... — დიახ, და ასეთი ინტერვიუ შენამდე, ალბათ, არც არავის ჰქონია.. აბა, ამ მართლა პროზის დეკლარაციების ლაპარაკი აღარ მოგებზრდათ? მაგ ლექსებში რომაა მსჯელობა, ისეთი ვერ შეგეხვდება ვერც ერთ გაზეთში და ჟურნალში. პოდა, გააკეთე სასწაული - უკან არ დაიხიო - შენ ეს შეგიძლია... ეგაა საქმე, თორემ პოლიტიკური ტექსტების გაშვება რა საქმეა? ამ ინტერვიუს გამოქვეყნებით, შენ იქნები ყველაზე მაგარი ჟურნალისტი ისტორიაში, რომელმაც დაბეჭდა პოეტური ინტერვიუ. ეს ეპოქალური საქმეა.. პოეტთან ინტერვიუ, შეიძლება, ადვილია, მაგრამ პოეტური ინტერვიუ უმაგრესია.. წარმატებებს გისურვებთ! — გმადლობთ, ბატონო ირაკლი, თქვენც გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს!

ირანდა კალანდამ

სულით კლიერი - დედოფლები, რომლებმაც ასოფლიო დაიპყრეს



ელიზაბეთ I

ელიზაბეთ I
ელიზაბეთ I დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი უდიდესი მონარქია. ტახტისკენ მიმავალ გზაზე ბევრი რთული მომენტი გადაიტანა და პოლიტიკური ოპონენტების ბევრ წინააღმდეგობასთან და ინტრიგებთან გამკლავება მოუხდა, მაგრამ მისი მმართველობის ბოლოს ინგლისში კეთილდღეობისა და აღმავლობის არნახული ეპოქა დადგა. ელიზაბეთი პოლიტიკური თამაშის სრულყოფილი მართალი მთავარი იყო, თანაც მამამ პრაქტიკულად უკანონოდ დაბადებულად გამოაცხადა. ელიზაბეთი დედოფალი 25 წლის ასაკში გახდა, მისა და დის გარდაცვალების შემდეგ. ტახტზე ასვლის შემდეგ პრიორიტეტად რელიგიური კონფლიქტების აღმოფხვრა დაიხსნა, რომლებიც ქვეყანას ანადგურებდა. ისტორიაში შევიდა, როგორც უბიწო დედოფალი - იგი არ გათხოვია. ბევრი ამას ფსიქოლოგიურ ტრავმად მიიჩნევდა, რასაც დედის, ან ბოლდინის სიკვდილით დასჯის შედეგად ჩამოყალიბებულ პრობლემად თვლიდა. ზოგიერთი ისტორიკოსი თვლის, რომ ელიზაბეთი ქორწინებას ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევდა და თავი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას მიუძღვნა. ელიზაბეთის მმართველობის პერიოდი ნატიფი ხელოვნებისა და ზღვაოსნობის აღმავლობის დროა. დედოფალი გაუმკლავდა ესპანეთის არმადის თავდასხმას და დაამარცხა მარია სტიუარტი. ბრიტანელები

„დიდებულსა და ძლევედოსილს“ უწოდებენ ბრიტანეთის მონარქიის ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელს.
ინენება
ეს ნაკლებად ცნობილი ქალბატონი დაგომბას სამეფოს მართავდა XII ს-ში. იგი მეფე ნედევას ქალიშვილი გახლდათ. ეს სამეფო თანამედროვე განას ჩრდილოეთით მდებარეობდა. გოგონას პატარაობიდანვე ასწავლიდნენ სამხედრო საქმეს და სპარტანულად ზრდიდნენ. იგი ბრწყინვალე წარმატებებს აღწევდა ვეელაფერში - შუბის ტყორც-ნაში, მშვილდ-ისრის სროლასა და ცხენოსნობაში. იენენგამ დიდი გამოცდილება მიიღო საბრძოლო მოქმედებებშიც, იგი დიდ სამხედრო შენაერთს ხელმძღვანელობდა. მაგრამ იყო ერთი ნიუანსი - მამა იმდენად აფასებდა ქალიშვილს, როგორც მრჩეველსა და მებრძოლს, რომ ვეელანაირად ეწინააღმდეგებოდა მის გათხოვებას. დოკუმენტური წყაროების თანახმად, გოგონა არ შეეპუა მამის ტირანისა და გაიქცა. იენენგამ იმდენი ირბინა, ვიდრე სპილოებზე მონადირის სახლს არ მიაღწა. ეს შეხვედრა საბედისწერო გამოდგა - იენენგა მონადირეს გაპყვა ცოლად. დედოფალი იენენგა ითვლება დასავლეთაფრიკული ხალხის - მოსის წინაპრად (ეთნიკური ჯგუფი, რომელიც გავრცელებულია ბურკინა-ფასოში, განაში, კოდ-დ'იუუარში, მალისა და ტოგოში).

ნადირობა და კარგი ალკოპოლი. მისი ქმარი მეფე ოდენატ II იყო, რომელმაც რომის ვასალად გამოაცხადა თავი 258 წელს. ქმრის სიკვდილის შემდეგ ზენობია პალმირის ფაქტობრივი მმართველი და საკუთარი ვაჟის რეგენტი გახდა. მან მეუღლის საქმიანობა განაგრძო და ქვეყნის საზღვრები გააფართოვა.
ზენობია დიდ ყურადღებას უთმობდა საკუთარი არმიის პროფესიულ მომზადებას, რომელიც არამარტო პალმირის საზღვრებს იცავდა, არამედ დამპყრობლური ექსპედიციაც კი მოაწყო და



ზენობია

269 წელს ეგვიპტე დაიპყრო. ამას მოჰყვა ანატოლია, სირია, პალესტინა და ლიბანი. ზენობია აკონტროლებდა ახლო აღმოსავლეთის უმსხვილეს საეკონომიკურ მარშრუტებს. სწორედ მაშინ დაიწყო მან მონეტების ბეჭდვა საკუთარი პროფილით, რაც მისი ძლევედოსილების დადასტურება იყო. ზენობიას მმართველობა ბოლო მოუღო რომის იმპერატორმა აურელიანმა, რომელმაც მისი ჯარი დაამარცხა ანტიოქიასთან ბრძოლაში და კვლავ რომის იმპერიას დაუქვემდებარა.

კედელი. იმპერატორმა იანგმა სწორედ მათი წყალობით გაითქვა სახელი. თუ ვინმე პროექტის მნიშვნელობაში შეიტანდა ეჭვს, სიკვდილით ისჯებოდა. სწორედ იმ პერიოდში დასაჯეს სიკვდილით ბევრი გენერალი. საფრთხის წინაშე აღმოჩნდა პინგ იანგის მამაც. გენერალი სათავეში ჩაუდგა აჯანყებას, რომელსაც ქალიშვილიც შეუერთდა. პინგ იანგმა იარაღის გამოყენების გარეშე შეძლო თავის მხარეს გადაებირებინა სამხედრო ელიტის უდიდესი ნაწილი. ამგვარად პინგ იანგმა შეძლო 70 000

ბაში უნდა გადასულიყო, მაგრამ რომის ჯარმა დედოფალი გააძევა და მისი ტერიტორია დაიპყრო. ბოუდიკამ გააერთიანა რამდენიმე ტომი, რომლებიც რომის იმპერიის გამო დაზარალებულნი და აჯანყება მოაწყო. ბოუდიკამ და მისმა ამოხსნებულებმა დაიპყრეს რამდენიმე ქალაქი (დღევანდელი ლონდონი, კოლბუსტერი და სენ-ოლბენსი). დედოფლის შეიარაღებულმა ნაწილებმა ვერ გაუძლეს რომაელების ჯარის წინააღმდეგობას და დამარცხდნენ, მაგრამ უშიშარი დედოფლის სახელი დღესაც ცოცხლობს.

ბრძენი აული

დედოფალი აული ვიკინგების ტომის წარმომადგენელია. იგი თანამედროვე ნორვეგიის ტერიტორიაზე დაიბადა და ძალზე ახალგაზრდა, ოჯახთან ერთად პებრიდის კუნძულებში გაემართა. მამამისმა კეტლმა ამ მიწების მეფედ გამოაცხადა თავი. მამაც დედოფალს ბედმა არგუნა დუბლინის მეფის ოლაფის ცოლობა და ტორსტინ წითურის დედობა, რომელიც შოტლანდიელი ვიკინგების წინამძღოლი გახდა. ასეთ პირობებში დედოფალ აულის აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ გაეზიარებინა საკუთარი მეუღლის დამპყრობლური გეგმები, მოგვიანებით კი - ვაჟისა. სამწუხაროდ, მან თავისი ოჯახის წევრებზე დიდხანს იცოცხლა და ბოლოს გააძევეს კიდევ. აული სულით არ დატყვევდა და სათავეში ჩაიდგა ექსპედიციას ისლანდიაში და ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ამ ტერიტორიებზე ქრისტიანობას უწევდა პოპულარიზაციას.

ჩვენი გმირი ქალბატონები ცხოვრების რალაც მომენტში რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ისინი ბავშვობიდანვე ავლენდნენ მტკიცე ხასიათს და შეძლეს გამკლავებოდნენ სირთულეებს, გამოეჩინათ სიმტკიცე და ვაჟკაცობა!
ვივატ, დედოფლებო!

ბელა გველმისიანი
568 90 81 22



ინენება

პინგ იანგი

თქვენ რომ ჩინეთში სუის დინასტიის მეფობის პერიოდში გეტხოვრათ და თანაც გლახად დაბადებულეყავით, რთული ცხოვრება გელოდათ. სწორედ იმ პერიოდში განხორციელდა ჩინეთის იმპერიაში ისეთი სახელმწიფოებრივი პროექტები, როგორიც იყო ჩინეთის დიდი

ბოუდიკა

ბრიტების ტომის წითურთმიანმა წინამძღოლმა თავის დროზე რომის იმპერატორ ნერონის წინააღმდეგ მოაწყო აჯანყება. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება შეილეს შორის უნდა განაწილებულიყო, ნაწილი კი რომის მმართველო-

„საერთო გაზეთი“ მხარდასაჭერი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. № GE19BG000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: **პანტაან ხარჩილაძე**
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შევლიძე, მარიამ ჯანჯღავა, ვია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველმისიანი, მთვარისა კველიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშაენის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოცემა შემოიღიათ შპს
„ელგა-ჯი“-ს მშვიდობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრინციპებით. შესაძლოა, ავტორის პოზიციის არ დაზარალებულად რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტისა და სიზუსტისთვის ავტორი. გაზეთის მხარდასაჭერი ავტორის პოზიციის დაზარალება არ უარუდებია.
© ამ ნომერი ავტორის საკუთარი გაზეთი.
ინჟინერ შპს „სასაველ-დასაველი“ სტამბაში. ავტორის 39. ტელ: 234-39-99